[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 1 ივნისი, 1921 წ.

7კ. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 73

## თესვის კამპანია

პურის საკითხი ეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია. ის მწვავედ სდგას თვით უმდიდრესი სასოფლო მეურნეობის ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, რომლებიც თავისთვის საჭირო რაოდენობის ზედმეტით კვებავდენ საერთაშორისო ბაზარსაც. როგორც ბევრ სხვა რამეში, ჩვენი ქვეყანა ამ მხრივაც დამოკიდებული იყო მეზობლებისაგან თვით მოსავლიან წლებში და ნორმალურ დროსაც. ცხადია როგორი უნდა იყოს მდგომარეობა ჩვენი დღეს, სოფლის მეურნეობის საერთო დაცემის ხანაში. დიდი ძველებური იმედების დამყარება მეზობლების რესურსებზე, როდესაც ისინიც განიცდიან საჭიროებას, არ ღირს. რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ჩვენ სხვა გზა არ გვექნება გაჭირვების დროს, ამ საშვალებითაც ვისარგებლებთ მაქსიმალურათ შესაძლებელ ფარგლებში და მივიღებთ კიდევაც დახმარებას. მარა, ცხადია, ამ იმედებზე ვერ დავიყრდნობით. ჩვენი ძალა და ღონე უნდა ავამუშაოთ. ამ მუშაობაში უნდა ჩავითრიოთ ყველა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, რომ კრიზისის გადაჭრა შიგნითვე, ჩვენი საკუთარი ძალებით მოვახერხოთ. ამნაირათ თესვის გაფართოება და ამისათვის ყველა გამოსადეგი ადგილების დამუშავება—ეს ერთი უმთავრესი ამოცანაა, რომელიც უნდა გადაიჭრას მომავალ ორ, მაქსიმუმ—სამ კვირაში. უკვე წარსული წლის შემოდგომაზე სოფელმა ვერ მოახერხა უამინდობის გამო დაემუშავებია ყველა სათესი ადგილები და წელს ჩვენ მწარეთ განვიცდით ამის შედეგებს. ახლა ეს ანომალია უნდა გამოვასწოროთ, რამდენადაც კაცის ხელშია ამ საქმის მოგვარება და ბუნება არ განრისხდება. ხოლო ცნობები, რომლებიც დღეს დღეობით ჩვენ ხელშია, ვერ გვაძლევს ჯერ დიდ იმედებს. ხანგრძლივი უწვიმობა სასოფლო-კვეთილებაში აგდებს ხალხს და თუ მომავალმა ათეულმა დღეებმა არაფერი ცვლილება არ შეიტანა საქმის მდგომარეობაში, ცხადია ჩვენ წინ გვექნება გასავლელი მშიერი წელიწადი. მთავრობამ თავიდანვე ყოველ საშუალებას მიმართა, რომ ამუშავდეს მთელი ჩვენი ენერგია. ორ თვეზე მეტია რაც მძიმე მუშაობას ეწევიან სპეციალური კომისიები, რომლებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა თესვის კამპანია მაქსიმალური სიფართოვით ჩატარდეს. თითქმის ყველა რაიონებში ნავარაუდევია, რომ დათესილი წელს დაახლოვებით 30% უნდა აღემატებოდეს შარშანდელს. ადგილობრივი სახელმწიფო და პარტიული ორგანოების ენერგიული აგიტაციის გავლენით თან და თან გაიფანტა ის პროვოკაციული ატმოსფერა, რომელიც შექმნა რამოდენიმეთ ჩვენი მტრების აგიტაციამ იმის შესახებ, თითქოს მთავრობას განძრახვა ჰქონდა სოფლის შრომით მონაწევარი სარჩოს რეკვიზიციის. სხვებთან ერთათ ეს დაბრკოლებაც რამოდენიმეთ გადათელილია და ხალხი აღარ უჯერის სოფლის მაწანწალა დემაგოგებს. უფრო მეტათ ვინემ ოდესმე ჩვენი ბედი და ჩვენი მომავალი ჩვენ საკუთარ ხელშია. ამ აზრით გამსჭვალული ჩვენი ამხანაგები ფართო მასსის დახმარებით მედგრათ უნდა ეკვეთონ დიდ სამუშევარს, რომელიც გასაკეთებელია სოფლათ, რომ იხსნან ქვეყანა დამშევისაგან და უზრუნველ ჰყონ საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცება, ახალ შემოქმედების გზაზე შემდგარი ხალხის ძლევამოსილი წინსვლელობა.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ.**

(გაგრძელება)

**ზინოვიევი.** მე ეხლა გადავდივარ საფრანგეთზე. უეჭველია, საფრანგეთში ჩვენ დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ. ჩვენ იქ მოგვიხდა ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერა. ტურის კონგრესამდე ფრანგულ პარტიას თავის რიგებში ყავდა არა მარტო ცენტრის მომხრეები, არა მარტო ლონგე, არამედ ყავდა აგრეთვე აშკარა შეიდემანელები, რენოდელი, ალბერტ ტომა და კომპანია. და ჩვენ მოგვიხდა საფრანგეთში ერთის დაკვრით გაგვეკეთებინა ის, რაც სხვა პარტიებში მოვიმოქმედეთ ორგზობაზე. ჩვენ ერთ და იმავე დროს მოვახდინეთ ორი განხეთქილება, განვდევნეთ მარჯვენა ფთაც და „ცენტრიც“. ეს ოპერაცია ბრწყინვალედ ჩავატარეთ და ამის შემდეგ ერთბაშად მივიღეთ გაწმენდილი პარტია. ჩვენი პარტიის რიგებში საფრანგეთში დარჩა 160.000 წევრი. მათი ყოველდღიური ორგანოს ტირაჟი 200.000-ს აღემატება. პარტიამ ეხლა დიდი წარმატება მოიპოვა აგრეთვე პროფ. კავშირებშიაც. ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ საფრანგეთში ჩვენ გვყავს 160 000 დაზღვეული კომუნისტი. სავსებით შესაძლებელია, რომ იქაც კიდევ მოხდეს ერთგვარი რყევა და კრიზისი. მაგრამ არსებითად ჩვენ მოვიპოვეთ, რაც გვინდა, და გავწმინდეთ პარტია კომუნისტური ინტერნაციონალისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან. არსად მთელ ქვეყანაში სოციალისტური დროშა არ ყოფილა ისე დამცირებული და გაბახებული, როგორც საფრანგეთში. და მხოლოდ იმით, რომ ეხლა 40.000 ოპორტუნისტი და „ცენტრისტი“ განდევნილია პარტიიდან,—მოხერხდა სხვანაირი მდგომარეობა შეგვექმნა. ეხლა მუშები ხედავენ, რომ მათ აქვთ პატიოსანი მუშური გაზეთი, რომ არიან ქვეყანაში პატიოსანი რევოლიუციონური პარლამენტარიები. ამის წყალობით გაიზარდა პატივისცემა მუშურ პარტიისა და სოციალისტური დროშისადმი, რომელიც ამ ქვეყანაში ეგზომ დამცირებული იყო.

გადავდივარ იტალიაზე, რომელიც ეხლა კომუნისტური ინტერნაციონალის ყურადღების ცენტრადაა გადაქცეული. აქ საქმე მეტად გართულებულია. გარეგნულად ჩვენ იტალიის ყრილობაზე თითქო განვიცადეთ დამარცხება. ამან გამოიწვია ერთგვარი არევ-დარევა გერმანელ კომუნისტების ზოგიერთ რიგებში, რადგანაც არიან კომუნისტურ ინტერნაციონალში ადამიანები, რომელთაც ყოველთვის სურთ უმრავლესობაში იყვნენ, რომელთაც უმცირესობაში დარჩენის ეშინიათ, რომელთაც არ შეუძლიათ მიმდინარეობის წინააღმდეგ სვლა, როცა ეს საჭიროა. იტალიაში ამბები შემდეგნაირად განვითარდა. წარსულ ზაფხულში ჩვენთან მოვიდა იტალიის დელეგაცია, რომელიც შემდეგ მონაწილეობდა აგრეთვე კონგრესში. უმრავლესობა იყო პროფესიონალისტები და, როგორც შემდეგ გამოირკვა, უბოროტესი ოპორტუნისტები. ჩვენ ბევრ ხანს ვუყავით საზღვარ-გარეთიდან მოწყვეტილნი, არ ვიცოდით ის პოლიტიკური დამოკიდებულებანი, რომელიც იქ ვითარდებოდა, და ამიტომ ისინი ჩვენ მივიღეთ თავდაპირველად როგორც ძმები. მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა ნაწილი აშკარა გამყიდველთა, რომელნიც პირდაპირ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ შემდეგ „თავის“ ბურჟუაზიისთვის ჩვენს წინააღმდეგ დახმარება გაეწიათ. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც, როცა თავი საზღვარ გარედ ამოყვეს, მაშინათვე დაიწყეს თეთრგვარდიელური დაბეზღება საბჭოთა რუსეთსა და კომუნისტურ ინტერნაციონალზე. მხოლოდ მათი იტალიაში დაბრუნებისა და აქ დაწვრილებითი გაცნობის შემდეგ, დაიწყო ნამდვილი დიფერენციაცია და შერჩევა იტალიურ პარტიაში. ყველაზე უფრო რთული იყო მდგომარეობა ამხ. სერატისა. ჩვენ მას ვხვდებოდით ჯერ კიდევ ციმერვალდში. იგი ჯერ კიდევ იქ იყო ჩვენი მოწინააღმდეგე, როდესაც მარტოვს იცავდა. მეორე კონგრესზე კინტალში ის ჩვენ დაგვიახლოვდა, ომის განმავლობაში მას პატიოსნურად ეჭირა თავი, პატიოსნურად აწარმოებდა თავის ცენტრალურ ორგანოს „ავანტი“-ს, რომელიც გადაიქცა მაშინ ერთ საუკეთესო სოციალისტურ გაზეთად მთელს ევროპაში. მაგრამ, ამხანაგებო, ევროპიელ სოციალისტებს ხანდახან ასეთი საქმე ემართებათ: გადაფხიკეთ კარგად ზოგი ევროპიელი „კომუნისტი“, და თქვენ წინ ნამდვილად წარსდგება ფიგურა ჩვენებური „მემარცხენე“ მენშევიკის ტიპისა. ამხ. სერატიც ასეთი გამოდგა. იტალია იმყოფება რევოლიუციის წინა დღეებში. ხშირად მოსდით ოპორტუნისტებს: რაც უფრო დაახლოვებულია რევოლიუცია, მით უფრო უკან იხევენ ისინი. როდესაც ისინი გრძნობენ, რომ ძველებური წონასწორობა ისპობა, კარგავენ გონიერებას, უკვე არა ისინი მართავენ საქმეებს, პირიქით, საქმეები განაგებენ მათ. სერატი იმის მაგიერად, რომ წარემართა განვითარების პროცესში მყოფი მოძრაობა, თვითონ დაიბნა და სხვებიც ააცდინა სწორ გზას. სერატს სურს, რათაც არ უნდა დაჯდეს, ოპორტიუნისტები დატოვოს პარტიაში იმიტომ, რომ რევოლიუციის შემდეგ, ამბობს ის, იქნება დიდი მეურნეობა, ხოლო დიდ მეურნეობაში ყოველი კანაფი გამოსადეგია. ამიტომ იგი მთელი ძალღონით ცდილობს დასტოვოს ოპორტიუნისტები. ვინ იქნება მილანის ქალაქის თავი, თუ ეს და ეს, სახელი უწოდეთ ოპორტუნისტური დროშის ქვეშ გალაშქრებული, განდევნილ იქნა პარტიიდან. „ჩვენ იქ ისედაც ცოტა ხალხი გვყავს“. აი როგორ ობივატელურად სვამს საკითხს სერატი, ეფარება რა ფრაზას მთლიანობის შესახებ. იტალიურ პარტიის რიგებში რჩებიან ნამდვილი მენშევიკები ტურატის მეთაურობით. ტურატი ეხლაც სცემს თავის ჟურნალს, რომელშიც მეთაურის სახით ბეჭდავს მარტოვის მიერ გალეში წარმოთქმულ საზიზღარ სიტყვას. ტურატი დასცინის კომუნიზმს, ის დასცინის პროლეტარულ რევოლიუციას იტალიაში, ის წმინდა წყლის რეფორმისტია. და აი, ამისთანა ხალხთან არ სურს სერატს განხეთქილება ჩამოაგდოს. კომუნისტური ინტერნაციონალის თვით კონგრესზე იტალიური დელეგაცია მეტის მეტად აჭრელებული იყო. მან ვერ მოახერხა თუ გინდ ერთი რომელიმე საკითხის გამო დაეჭირა მთლიანი პოზიცია მთელი დელეგაციის სახელით. მიუხედავად ამისა, დელეგაციიდან შემდეგში ჩამოყალიბდა განსაზღვრული ჯგუფი, რომელიც ეხლა გარდაიქმნა იტალიაში ნამდვილ კომუნისტურ პარტიად. იტალიაში არსებობდა ერთი ფრთა პარლამენტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც სინდიკალისტურად იყო განწყობილი. მისი ხელმძღვანელი იყო ამხ. ბორდიგა. უდიდესი კმაყოფილებით უნდა განვაცხადო, რომ ეს ამხანაგი და მისი ჯგუფი დაემორჩილნენ საერთაშორისო დისციპლინას და ეხლა გარდაიქცნენ საიმედო ჩანასახად ახალი კომუნისტური პარტიისა. იტალიაში კომუნისტური ინტერნაციონალის შარავანდედი მაღალია, და მისი პოპულიარობა დიდი. იქ ოპორტუნისტებიც კი სიტყვით მისდევენ კომუნისტურ ინტერნაციონალს.

1905 და 1917 წლებში ისე იყო ჩვენში, რომ ხანდახან მემარცხენე კადეტი უფრო რადიკალურად გამოიყურებოდა, ვინემ ზოგი ევროპიული სოციალ-დემოკრატი, დაახლოვებით ამისვე ვხედავთ ეხლა იტალიაში. იქ ყველაფერი მოჩანს უფრო მემარცხენედ, ვინემ ეს ნამდვილად არის. ამასთან დაკავშირებით იქ ოპორტუნისტები წარმოსთქვამენ რევოლიუციონურ ფრაზებს. ცენტრის მომხრეები მოგეჩვენებათ უფრო მემარცხენეებად და თავის თავს კომუნისტებს უწოდებენ. ლივორნოს ყრილობაზე ასეთი ციფრები მივიღეთ: 97.000 „უნიტარისტები“, მთლიანობის მომხრენი, რომელნიც თავის თავს აგრეთვე კომუნისტებად ნათლავენ. ეს არიან სერატის მომხრენი. 11.000 ოპორტიუნიზმის მომხრენი, მომხრენი ტურატისა. და დაახლოვებით 60.000 ჩვენი მომხრენი, რომელნიც სავსებით იღებენ ყველა ჩვენს პირობებს. უმრავლესობის პოზიცია იყო მეტის მეტად მერყევი. ისინი ყოველგან აცხადებდნენ და თვითონ კონგრესზე ამბობდნენ, რომ იღებენ ჩვენს პირობებს, მაგრამ ისინი ითხოვენ მხოლოდ „ავტონომიას“ და იმას, რომ ეს პირობები გამოყენებულ იქნეს იტალიაში ისე და მაშინ, როგორ და როდესაც ისინი საჭიროდ დაინახავენ. გამოცდილებით ჩვენ ვიცით, თუ ეს რას ნიშნავს, რას ნიშნავს ყველა ეს მსჯელობა, რომ ნება მოგვეცით ჩვენ 21 პირობა ისე გამოვიყენოთ, როგორც ჩვენა გვსურსო. ეს იმას ნიშნავს, **რომ მათ სრულებით არ სურთ ამ პირობების აღსრულება**, არამედ სურთ ყველაფერი ძველებურად დასტოვონ. ჩვენი მომხრეთა წინაშე იდგა კითხვა, გამოყოფილიყვნენ თუ არა უნიტარისტებს. ჩვენი წარმომადგენლად მანდ იყო ბოლგარელი ამხანაგი კაბაკჩიევი, რომელიც ჩვენთან ყველაფერში იყო თანახმა მან მხარი დაუჭირა იმ 60.000 კომუნისტების დელეგატებს, რომელთაც სერატთან გასწყვიტეს კავშირი. ამას შემდეგ ამ 97.000-მა, რომელნიც გაერთიანდნენ ოპორტუნისტებთან, ერთხმად მიიღეს ისეთი რეზოლიუცია, რომ ისინი მიმართავენ კომუნისტური ინტერნაციონალის მე 3 ყრილობას და წინდაწინ აცხადებენ, რომ დაემორჩილებიან მესამე კონგრესის დადგენილებებს. ყოველ შემთხვევაში, ეხლა მდგომარეობა იგეთია, 11.000 ოპორტუნისტის გულისათვის სერატი მოშორდა 60.000 კომუნისტს. ამან ჩააყენა იგი ძალიან სულელურ მდგომარეობაში. რამოდენიმე ხნის წინედ იგი გაემგზავრა ბერლინში, რომ მარტო ამხანაგების საშუალებით გაემართა ჩვენთან მოლაპარაკება, და როდესაც მას ჰკითხეს, რა მდგომარეობაში იმყოფება იგი, მან შემდეგი ფრაზა ახმარა: „ჩვენ იმათი მსგავსნი ვართ, ვინც დგანან ეკლესიის წინ მოლოდინში, დავდგებით რამოდენიმე ხანს, სანამ ჩვენს წინ ეკლესიის კარები არ გაიღება“. რამდენ ხანს მოუხდებათ მათ დგომა ამ პოზაში, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, გვგონია, უნდა მივახწიოთ იმას, რომ კარი გააღონ არა უადრეს, ვინემ სერატის პარტია არ გაიწმინდება ყველა იმისაგან, რომლის სახელია ოპორტუნიზმი.

ამ გარემოებამ ერთგვარი სხვა მიმართულება მისცა კომუნისტური ინტერნაციონალის მოძრაობას. იტალიის პარტია იყო ერთი საუკეთესოთაგანი. მდგომარეობა ამ ქვეყანაში მეტად რევოლიუციონური იყო. და მაინც ჩვენ იქაც ვხედავთ ოპორტიუნიზმის ნაშთებს, რომელნიც არიან კაპიტალის პირდაპირი აგენტები. მეორე კონგრესზე ჩვენ მოვაგონებდით ამხანაგ სერატის ლიბკნეხტის სიტყვებს: „მტერი იმყოფება საკუთარ სამშობლოში“. თქვენ კი, ვეუბნებოდით ჩვენ, მტერი გყავთ საკუთარ ოჯახში. ტურატი და მისი მომხრენი ჩვენი მტრებია, მათ ჩაშალეს დიდებული რევოლიუციონური მოძრაობა წარსული წლის შემოდგომაზე, როდესაც იტალიელ მუშებმა რევოლიუციონური გზით იწყეს ფაბრიკების დაკავება და წითელ რაზმების მოწყობა. ეს მოძრაობა ჩაშლილ იქნა იტალიელ მენშევიკების მომხრეების მიერ, რომლების სათავეში დგანან ტურატი და დარაგონა. გარეგნულად, ვამბობ მე, ჩვენ იტალიაში თითქო დავმარცხდით, უმცირესობა იყო ჩვენი მომხრე. მაგრამ ეს ჩვენთვის სახეიროა. ჩვენ არ გვესაჭიროება მერყევი ელემენტები. მეორე კონგრესის წინადღეებში ვამბობდით, რომ ძალიან ბევრს სურს კომუნისტური ინტერნაციონალის კარებში შემოჭრა, და კარგათ უნდა მოვაწყოთ სადარაჯო, რომ არ შემოუშვათ ჩვენთან არასაიმედო ელემენტები. ამასვე ვიმეორებთ ეხლაც.

თქვენ ხედავთ, რომ იქმნება მთელი წყება: ლევი მოითხოვს ერთობას სერატისთან, სერატი ერთობას ტურატისთან, ტურატი კიდევ ბურჟუაზიასთან. თავისთავად გასაგებია, ჩვენ იმიტომ კი არ გადავიტანეთ ამოდენა ბრძოლა თავის ქვეყანაში, იმიტომ კი არ ვაწარმოებდით ბრძოლას ნაციონალური მასშტაბით, რომ ინტერნაციონალური მასშტაბით დავსთმოთ ჩვენი პოზიციები. აქ სულ მცირე უკანდახევაც შეუძლებელია. იტალიური კვანძი არის ცენტრალური კვანძი, და მის გარშემო ვითარდება ბრძოლა აგრეთვე გერმანიაშიც. შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი ჩეხო-სლოვაკელთა პარტიაა: მასში ნახევარ მილიონამდე წევრია—480000 კაცი. იქ პარტიის ყრილობა შესდგება ამა თვის 20 ს. ჩვენ არ ვიცით სიწორით, თუ იქ როგორი გარემოება შეიქმნება. რასაკვირველია მუშების დიდი უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. იქ მოხდა პირველი შემთხვევა ძველი სოციალ-დემოკრატის და ბელადის ჩვენს მხარეზე გადმოსვლისას. ის ჩვენთან მოვიდა აქ, ინანებდა თავის ცოდვებს, მიიღო ჩვენგან თანხმობა, რომ დაეწყო მუშაობა კომუნისტური პარტიის საორგანიზაციოდ, მაგრამ ბოლო ხანებში ისევ განიცდის ერთგვარ რყევას, და როგორც ეტყობა, კომუნისტური პარტია უნდა იქმნეს მოწყობილი მის გარეშე, მისი სრული ჩამოცილებით. ჩეხოსლოვაკიაში მრავალი ერი მოსახლეობს, იქ ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნების მუშები, მთელი ათეული წლების განმავლობაში ბურჟუაზია მათ ერთმანეთს უსისინებდა, ამიტომ იქ კომუნისტური პარტიის შექმნა დიდის სიძნელით სწარმოებს. ამ შობის ტანჯვას ჩვენ ვამჩნევთ. ეხლა იქ გავგზავნეთ საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენლობა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ამხანაგები მოახერხებენ ლეგალურად გამოსვლას, და მახლობელ დღეებში ჩვენ უნდა მოვისმინოთ ჩეხოსლოვაკელ კომუნისტების საბოლოო გადაწყვეტილება. ავსტრიაში მოხდა ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოყოფა, ასე ვთქვათ: დამოუკიდებელ მემარცხენეთა, რომელნიც კომუნისტების რიგებში გადმოვიდნენ. მაგრამ პარტია ჯერ კიდევ არ არის მრავალრიცხოვანი. ავსტრიაში მუშათა კლასი ფიზიკურად იღუპება. ჩვენ გვიამბეს იქიდან მოსულმა ავსტრიელ ამხანაგებმა: როდესაც შეხედავ მუშებს დემონსტრაციების დროს ვენაში, როდესაც დააკვირდები მათ სახეს, როდესაც ხედავ, ისინი როგორ მშიერნი, დაუძლურებულნი, ზოგჯერ ავადმყოფნი არიან, მაშინ მიხვდები, რომ ამ ქვეყანაში, რომელიც საერთაშორისო ბურჟუაზიის განსაკუთრებით შეუბრალებელ ცეცხლის ქვეშ მოყვა—მუშები პირდაპირ იღუპებიან. ისე ძალუმად დატანჯეს მუშათა კლასი, იძულებულ ჰყვეს, სიმშილი და სიცივე განეცადა, იქ, ჩვენმა კლასმა თითქო ფიზიკურად დაკარგა თავისი მომავალი, იმ ზომამდე სისხლისაგან დაცლილია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და იგი, ალბად, წელში ვერ გაიმართება სხვა გზით, თუ არ მსოფლიო რევოლიუციის დახმარებით. იმდენად საშინელი იყო იქ სოციალ დემოკრატიის ღალატი, იმდენად ცინიერი და გაიძვერა,—ბურჟუაზია და იმდენად დაამახინჯა პროლეტარები ისტორიის ჩარხმა, რამდენადაც ძლიერად გამოსცადეს ომისა და სიმშილის სიმძიმე.

მე გადავდივარ ბალკანეთზე. ამხანაგებო, ჩვენ ბალკანეთში საკმაოდ მძლავრი პარტიები გვყავს ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ბულგარეთი და სამხრეთ-სლავეთი. ჩვენი ამხანაგები იქ დაკავშირებულნი არიან იმ მდგომარეობასთან, რომ, როგორც არჩევნების მთელმა წყებამ გვიჩვენა, თვით ლეგალურ ბურჟუაზიულ კონსტიტუციის საფუძველზედაც მიიმხრობენ უმრავლესობას ქვეყანაში. ჩვენი პარტია ერთად ერთი რევოლიუციონური ფაქტორია ბულგარეთში. ჩვენ იქ ვხედავდით მენშევიკების და ზოგიერთ საშუალო ელემენტების მასიურ გადმოსვლას ჩვენი პარტიის რიგებში. ეს მოწმობს ბულგარეთში ჩვენი პარტიის დიდ ძალას. როდესაც მენშევიზმის გაკოტრება დაიწყო, ჩვენშიაც ვამჩნევდით მთელი ჯგუფების და ორგანიზაციების ჩვენს მხარეზე გადმოსვლას, გადმოსვლას ყველა საუკეთესოსი, რაც მენშევიკებს გაჩნდათ. დაახლოვებით ასეთი რამ ხდება ეხლა ბულგარეთში. უნდა ვთქვათ პირდაპირ და გარკვევით, რომ ამაში ერთგვარი საფრთხეც იმალება ჩვენი პარტიისათვის. და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეთაურები, რომელთა შორის ურყევი გამობრძმედილი მარქსისტები, რომლებმაც წლების და ათეულ წლების განმავლობაში დაამტკიცეს, რომ ნამდვილი მარქსისტები არიან,—ხედავენ ამ საფრთხეს, და, გვწამს, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესს, რომ ჩვენს პარტიაში შემოსულ ამ ელემენტებმა არ მოსწამლონ ბულგარეთის პარტია, რომ არ შეიტანონ თან ოპორტუნიზმის ელემენტები. უკანასკნელი ამბავი—რუმინეთის პარტიის განხეთქილებაა. რუმინეთის დელეგაცია იყო აქ. მათ შორის ერიენ ისეთებიც, რომელნიც უწინ მინისტრებად ბრძანდებოდნენ, და მაინც მათ შესაძლებლად დაინახეს აქ მოსულიყვნენ და ეთხოვათ კომუნისტურ ინტერნაციონალში მათი შეშვება. კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტებში ზოგჯერ ფრიად გამართობელ სცენებს ჰქონდა ადგილი, მაგ., ისპანიის და რუმინეთის წარმომადგენელთან ასეთი საუბარი იშლებოდა: ნათლად ვხედავთ ადამიანებს, რომელთაც მათი ქვეყნის მუშებმა თითქო კისერში ჩაავლეს ხელი და ჩვენთან გამოგზავნეს: წადით და მიაღწიეთ იმას, რომ ჩვენ მიგვიღონ კომუნისტურ ინტერნაციონალში. თვითონ რეფორმისტები არიან, ხოლო ჩვენთან მოდიან და თავის დავალებას ასრულებენ. ასე იყო, მაგალითად, ისპანელებთან. მოვიდა პროფესორი, დაფიცებული ოპორტუნისტი, და მეორე დელეგატი მუშა, ჩვენი მომხრე. ოპორტუნისტი ასე ამბობდა: მე არა მწამს პროლეტარული რევოლიუცია, მე წამიკითხავს უამრავი წიგნები, სტუდენტებს ლექციებს ვუკითხავ და ვამტკიცებ, რომ კომუნიზმი განუხორციელებელია, მაგრამ ისპანიელი მუშები მეუბნებიან: ჩაეწერე კომუნისტურ ინტერნაციონალში. გამართობელ სურათს ჰქონდა ადგილი ერთი რუმინელ დელეგატთანაც. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ნომერში:

**ანგორაში შესდგა ახალი კაბინეტი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მოსკოვთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება.**

**აჯანყება მაროკოში. აჯანყებულებმა, რომელთა შეიარაღებული ძალა უდრის 20 000 კაცს, დაამარცხეს ფრანგების ჯარები.**

მათგანი, ბატონი ფლიუერამი, ყოფილი მინისტრი, მოვიდა, რომ ჩვენთან ერთად განეხილა 21 პირობა. და უნდა გენახათ, თუ როგორი გამომეტყველება მიიღო მისმა ფიზიონომიამ, როდესაც ჩვენ ისე უზრდელი აღმოვჩნდით, რომ მივიღეთ ოფიციალური რეზოლიუცია: წინადადებას ვაძლევთ მოქალაქე ფლიუერამს დასტოვოს აღმასრულებელ კომიტეტის ბინა, რადგან ასეთ ვაჟბატონებთან ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო. რასაკვირველია, მან გამოიტანა განსაზღვრული შეხედულება ჩვენი საერთაშორისო ზრდილობაზე. მაგრამ 21 მუხლში არ არის არც ერთი ისეთი, რომელიც გვავალებდეს ჩვენ ზრდილობიანნი ვიყოთ ბატონ ოპორტუნისტებთან. რუმინელ ამხანაგების უმრავლესობა ეხლა გადმოვიდა კომუნისტების მხარეზე და ქმნის კომუნისტურ პარტიას, მიუხედავად არალეგალურ პირობებისა, რომლებშიც მათ უხდებათ მუშაობა. ყველა ჩვენი ბალკანელი პარტიები გადიან თეთრი ტერორის იმავე ზონას. ბურჟუაზია ჩაება მათთან თითქოს ხელჩართულ ბრძოლაში, რადგანაც ხედავს, რომ უმრავლესობა ჩვენს მხარეზე გადმოდის. საერთოდ ბალკანეთის ნახევარი კუნძული ძალიან სწრაფად მწიფდება რევოლიუციისათვის, და ჩვენ იქ ვხედავთ კომუნისტური ინტერნაციონალის საიმედო დასაყრდენს.

(დასასრული ხვალ).

# საბჭოთა რუსეთში

**გრუკავროსტას დეპეშები**

## სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენცია.

**მოსკოვი.** 28 მაისი. (რადიო). **ნატურალური ბეგარა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა და კოოპერაცია.** მაისის 26 სხდომაზე ამხ. მილიუტინმა გააკეთა მოხსენება იმ კომისიის მუშაობაზე, რომელსაც დავალებული ჰქონდა რ. კ. პ. მე-10 თე ყრილობის სულადობითი სასურსათო ბეგრის, ნატურალური ბეგრით შეცვლის შესახებ დადგენილების, ცხოვრებაში გატარება. კომისიაში შედიოდნენ ამხ. კამენევი, ოსინსკი, (დამახინჯებულია). ცურიუპა და მილიუტინი. კომისიის ძირითადი მუშაობა გამოიხატება შემდეგში: გლეხმა უნდა იგრძნოს, რომ ასეთი ბეგარის შემოღებით მას გაცილებით ნაკლები გადახდება, ვიდრე სულადობითი ბეგრის დროს, როდესაც მას უნდა ჩამორთმევოდა განსაზღვრულ რაოდენობის ზედმეტი მტკიცე ფასებში. ამის შემდეგ გლეხობამ უნდა იცოდეს რომ მის განკარგულებაში დარჩება ზედმეტი, რასაც ის თავის სურვილისამებრ მოიხმარს. საშუალო მოსავლის დროს, საერთოთ საბჭოთა რუსეთის მთელ გლეხობას, უკრაინის გამოკლებით, ზედმეტი დარჩება, 500 მილიონი ფუთი ხორბალი. ბეგარის საერთო რაოდენობა კი უდრის 240 მილიონ ფუთს. ეს კი თვიურ გამოანგარიშებით უდრის 20 მილიონ ფუთს. ნატურალურ ბეგარის ამ რაოდენობით ჩვენ შეგვიძლია რამოდენიმეთ მაინც დავაკმაყოფილოთ ჯარის, მუშების და ძოსამსახურეთა მოთხოვნილება. მომარაგების სისტემას საფუძვლათ უდევს საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ადგილობრივათ საქონლის ტრიალის განსავითარებლათ ჩვენ გვჭირია საშუალება, ვინაიდან რკინის გზა ჩვენ ხელთ არის. სურსათ სანოვაგის ბეგარაზე დამატებითი მომარაგებას აწარმოებს კოოპერაცია. ამ შემთხვევაში მას ეძლევა ფართე თაოსნობის და დამოუკიდებლობის უფლება.

## ჩვენი მრეწველობა.

კომისიის მუშაობაზე მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. მილიუტინი შეეხო ჩვენს წვრილს და მსხვილ მრეწველობის მდგომარეობას. ჩვენი მრეწველობა ამ ჟამათ ომის გამოცხადების დროსთან შედარებით ქმნის 30 პროც. ზოგიერთ საწარმოვო დარში კი გაცილებით ნაკლებ პროცენტსა მაგალითათ თუჯის წარმოება ომამდე არსებულთან შედარებით უდრის 20 პრ. რაც კი იყო მომარაგებული ამ ოთხი წლის განმავლობაში მოვიხმარეთ და დღეს სრულებით არაფერი გვაჩნია ჩვენ უნდა ვიქონიოდ მხოლოდ საკუთარი წარმოების იმედი. ხანგრძლივ და დაუღალავ მუშაობის შემდეგ შევიძლებით ზოგიერთი სამეურნეო დარგის მოგვარება და განვითარება.

## სათბობ მასალის მომარაგება.

ლითონის მრეწველობა, საშხითველო საქმე და ქიმიური წარმოება თანდათან ვითარდება. შარშან მხოლოდ ტორფი მოვამარაგეთ 100 მილიონი ფუთი ეს უდრის თითქმის იმ რაოდენობას, რაც აქამდე არსებობდა. მიმდინარე წელს ჩვენ ავამოძრავეთ პირველი ქურა და ამით რამოდენიმედ მაინც შეგვიძლიან ლითონის კრიზისი შევასუსტოთ, ჩვენს მრეწველობას უკვე ეტყობა ერთგვარი სასიცოცხლო აღორძინება და ჩვენ შეგვიძლიან (დამახინჯებულია). დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობა.

## სახალხო მეურნეობის საფუძველია — მსხვილი მრეწველობა.

მსხვილ მრეწველობაში უმთავრეს ყურადღებას მივაქცევთ სატრანსპორტო საშუალებათა და საწარმოვო იარაღების დამზადებაზე. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულ იქნება ამ მსხვილ სამრეწველო დარგისაკენ, რომელმაც უნდა აწარმოვოს ფართოთ მოსახმარი საქონელი, რომლის სოფლის ნაწარმოებზე გადაცვლა შესაძლებელი იქნება, ასეთია მარილის, საშხითველო და ტყავეულობის მრეწველობა. ამ მრეწველობის განუვითარებლობით ჩვენ სოფელთან ვერავითარ გაცვლა-გამოცვლის საქმეს ვერ ვაწარმოებთ. წვრილი მრეწველობა ვერ შესძლებს დაიცვას მსხვილი მრეწველობა, რადგან სათბობი, ტრანსპორტი და ნედლი მასალა სახელმწიფოს ხელში იქნება. მსხვილი მრეწველობის გასავითარებლად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა სახელმწიფო საშუალებანი. უნდა გავაუმჯობესოთ იგი თვისებით, ე. ი. მივაღწიოთ შესაძლებელ გაერთიანებას, კონცენტრაციას.

## წვრილი წარმოება

წვრილ წარმოებას ხელი უნდა გაუხსნათ მუშაობისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, არ ვაპირებთ დენაციონალიზაციის მოხდენას და ფაბრიკების დაბრუნებას ყოფ. პატრონებისათვის. წარმოებანი, რომლებსაც ვერ დავამუშავებთ საკუთარი ძალ-ღონით, შეგვიძლია გადავსცეთ კოოპერატივებს, არტელებს და კერძო პირებს განსაზღვრულ საფუძველზე. შეკვეთის დროს უპირატესობას მივაკუთვნებთ კოოპერაციას, მივცემთ რა შეკვეთას, ჩვენ უზრუნველვყოფთ წვრილ წარმოებას ფულის ნიშნებით და სახელმწიფო ნედლი მასალით.

## ამხ. სვიდერსკის მოხსენება.

**როგორ მოვაგროვებთ ჩვენ გადასახადს.**

**მოსკოვი.** 28 მაისი. (რადიო დასაწყისი არ მიგვიღია) ის ზომები, რომლებთაც წინად მივმართავდით... (დამახინჯებულია). ძველ პრაქტიკაში მაგრამ, როდესაც უკვე ვიწყობთ გადასახადის აკრეფის ორგანიზაციას, იბადება ახალი საკითხები, რომლის გადაწყვეტა ვერ მოვასწარით წინად. გაბეგვრის ცხოვრებაში გატარების დროს, ჩვენ საქმე გვქონდა კოლექტივთან; ახლა იხდის ან კერძოთ გადამხდელი ან მოვალე და მას უნდა დაუახლოვდეთ შემდეგ ფორმით, რომ გავასწოროთ ყველა კერძო ანგარიში და გამოვარკვიოთ გადასახადის სათანადო რაოდენობა, რომელიც უნდა გავრცელდეს მასზე. ამ მიზნით ჩვენ დავაარსეთ გადასახადთა ინსპექტორების ინსტიტუტი. დამამზადებელ კანტორასთან იმყოფება გადასახადთა უფროსი ზედამხედველი. გადასახადის აკრეფის გეგმა შემდეგნაირია: გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს სათემო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ მოაგროვონ ნამდვილი ცნობები. ამგვარ ცნობების მოკრების შემდეგ, აღნიშნულ სოფელში მოდის ზედამხედველი მიღებულ სიების გადასამოწმებლად გადამხდელთა ცალკე ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად. შემდეგ სათემო აღმასრულებელი კომიტეტი გადასინჯავს მიღებულ სიას და შეასწორებს შენიშნულ შეცდომას. საბოლოვო გადასინჯვას მოახდენს გადასახადთა უფროსი ზედამხედველი სათემო აღმასრულებელ წარმომადგენლებთან ერთად. შემდეგ მაღალი ინსტანციები ახდენენ სათანადო გადასინჯვას და საბოლოვო გამოანგარიშებას.

## გადასახადის მიცემის წესი.

მომარაგების სახალხო კომისარიატი სდებს ვადას, რომლისათვის ესა თუ ის გადასახადი უნდა იქმნეს აკრეფილი. მხოლოდ დამამზადებელ კანტორებს შეუძლიანთ გადასახადის მიღება. უკანასკნელ ვადაზე გადასახადის ამა თუ იმ ნაწილის გადაუხდელობაში, გადამხდელები, რომლებიც არ შეასრულებენ თავის მოვალეობას, მოექცევიან გაუსწორებელთა რიგში, რის შემდეგ საგუბერნიო სასურსათო კომისარს და სამაზრო სასურსათო კომიტეტს აქვთ უფლება ადმინისტრატიულ წესით გადასახადის აკრეფა, ორ გაფრთხილების შემდეგ არაგადამხდელი ცხადდება მავნე პირად და მისდამი სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის მიერ იქნება მიღებული ზომები, წმინდა სამხედრო ხასიათისა.

## სასურსათო გადასახადთა რაოდენობა.

პურის სასურსათო გადასახადი აღრიცხულია 240 მილიონი ფუთი, რაიც შეადგენს დაახლოვებით 12 პროც. გადასახადის და 15 პროც. წმინდა შემოსავლისას ექვს გარეშეა, რომ გადასახადის აკრეფის ორგანიზაცია შემდეგში წარმოადგენს დიდ შეფერხებას ვიდრე გაბეგვრის აკრეფა. შეცდომით ჰგონიათ, რომ ახალი პოლიტიკა ააგებს ქვეყნის მარაგს საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე. ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენი არსებობა ამ ახლო წლებში ავაგოთ მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე. სანამ არ იქნება აღდგენილი მსხვილი მრეწველობა, მანამდის ჩვენ არ გვექნება საკმარისი რაოდენობა საქონლის ფონდისა, შეუძლებელია დავამყაროთ გაზვიადებული იმედი საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე. აი რატომ უნდა ვეცადოთ ჩვენ ცხოვრებაში სასურსათო გადასახადის გატარებას სახელმწიფოს მინიმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

## სასურსათო აპარატის ცენტრალიზაცია.

**მოსკოვი.** 28 მაისი. (რადიო). ამხ. ლენინმა თავის სიტყვაში აღნიშნა მიზანშეწონილობა მუშათა ინდივიდუალურ მარაგის წარმოებათა კოლექტიურ მარაგისაკენ გადასვლისა. სახალხო კომისართა საბჭომ მისცა მომარაგების სახალხო კომისარიატს გარკვეული დავალება—ორ კვირის განმავლობაში სათანადო პროექტის შედგენა. „ამ დროსვე, სთქვა ამხ. ლენინმა, ჩვენ უნდა მოვაკლოთ მარაგს სოფლის მთელი მოსახლეობა, შესაჩნევი ნაწილი ქალაქისა და შესაძლებელია მუშა მოსახლეობის ნაწილიც.

რახან ასეთი რადიკალური დასკვნა უნდა გავაკეთოდ ჩვენ მომარაგების დარგში. ამიტომ არა ნაკლები რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ ჩვენი სასურსათო აპარატის დარგშიაც. სასურსათო დარგში მომუშავეთ კადრი, რომელიც გამოვიდა პარტიულ მუშათა წრეებიდან, კადრი, რომელიც ბრწყინვალედ ატარებდა დაბეგვრას, უნდა კვლავ დავტოვოთ. ამხ. სვიდერსკიმ სურვილი გამოსთქვა, რომ სასურსათო დიქტატურა ისეთივე ძლიერი იყვეს გადასახადის ჩატარების პერიოდში, როგორც იყო იგი ძლიერი დაბეგვრის ჩატარების პერიოდში. (კავროსტა).

## ყველა ქვეყნების კოოპერატივებს.

**მოსკოვი.** 28 მაისი. (რადიო). მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე ამოიჭრა მედგარი და ორგანიზაციულ ბრძოლის საჭიროება. პოლიტიკურ და პროფესიონალურ დარგში ძალთა შეერთება მოხდა მესამე კომინტერნის სახით. კოოპერაციის დარგში აქამდის არ შესდგომიან ახალ საკითხების გადაწყვეტას. დიდი ომის დროს კოოპერატიულ ორგანიზაციათა ბელადები კაპიტალისტების ერთგული მოსამსახურეები, სამარცხვინოთ უჭერდნენ მხარს თავის მთავრობებს. ომი დასრულდა, მაგრამ კოოპერაციის სათავეში წინანდელივით სდგანან ძველი ბელადები. ამასობაში დაუნდობელი დიად ბრძოლის წუთი ახლოვდება. თითქმის ყველა ქვეყნებში მოეწყო ახალი კოოპერატიული ორგანიზაციები, გამსჭვალული რევოლიუციონური სულით. აი, რატომაა საჭირო დაუყონებლივ შევუდგეთ საერთაშორისო რევოლიუციონერ კოოპერატივთა გაერთიანების ორგანიზაციას. ასეთ გაერთიანების ორგანიზაციის საქმეს თავის თავზე იღებს საერთაშორისო საორგანიზაციო კოოპერატიული ბიურო. გვაცნობებთ რა თავის დაარსებას, ბიურო მოგიწოდებთ ყველა კოოპერატივებს, რომელნიც დგანან კლასობრივ პოზიციაზე, მიიღოთ მონაწილეობა ახალ მებრძოლ ცენტრის შექმნაში. (კავროსტა).

## საბჭოთა რუსეთში განათლების მუშაკთა მობილიზაცია.

**მოსკოვი.** 15 მაისი. სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რათა განათლების და სოციალისტურ კულტურის მუშაკნი თავ-თავის სპეციალობის მიხედვით დაუბრუნდენ სამუშაოს. დადგენილებაში მოხსენებულია, მოხდეს ყველგან განათლების მუშაკთა მობილიზაცია, რომელნიც მსახურობენ თავის სპეციალობაზე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, და წარმოებებში, წითელ არმიაში და ასე სხვებისაც, რომელნიც არ მსახურებენ ამ დაწესებულებებში.

# საზღვარ გარეთ

**გრუკავროსტას დეპეშები.**

## ანგორას ახალი კაბინეტი.

**ბათუმი.** 23 (დეპეშა). მაისის 19 ს დიდმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: ეროვნულ თავდაცვის მინისტრი—თევზი ფაშა, შინაგან საქმეთა—ოთარ-ბეი, შარიათის საქმეებისა — ფეტმი-ბეი, გასან-ბეი, მრეწველობისა—ჯემალ-ბეი, ჯანმრთელობისა რეფიკ-ბეი, საზოგადოებრივ მუშაობისა—ომარ ბეი, სახალხო განათლებისა—აბდულა სუფხი.

## მოსკოვი და ანგორა.

**ნაუენი.** 25 მაისი (რადიო). კონსტ. „ტაიმს“ ატყობინებენ, რომ ანგორის ახალი ეროვნული კაბინეტი ბალშევიკური ხასიათისაა. ქემალისტებმა ალბათ გადასწყვიტეს მჭიდრო კავშირით ითანამშრომლონ მოსკოვთან.

## ანატოლიის ომში ანტანტა ნეიტრალიტეტს იცავს

**ბათუმი.** 26 მაისი (დეპეშით) სტამბოლში მყოფ მოკავშირეთა სარდლობამ გამოსცა შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: ქვემო ამისა ხელის მომწერნი მოკავშირეთა უმაღლესი კომისრები ამით აუწყებენ მცხოვრებთ შემდეგს: ვინაიდან მოკავშირე სახელმწიფოთა და ოსმალეთს შორის სამხედრო მოქმედება კიდევ გრძელდება, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარებმა დაიკავეს ოტომანიის სახელმწიფოს შემდეგი ადგილები: 1) სტამბოლის ნახევარ-კუნძულის აღმოსავლეთის ყველა ნაწილები, შავი ზღვის ნაპირიდან დაწყებული 7 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, არდინა სტრანია მურტეკლი ჩიფლიკ-კატიკეის ხაზზე, ყველა დასახელებულ ადგილებითურთ. 2) გალიპოლის ნახევარ-კუნძულის ყველა ნაწილები, 3) იზმიდის ნახევარ-კუნძულის ყველა ნაწილები. 4) ანატოლიის ყველა ნაწილები, ჩრდილოეთით და დასავლეთით იმ გზისა, რომელიც აერთიანებს კარამიზ-ბიზ ბერალის უზინ-გეისის სოფლებს. ვინაიდან ანატოლიაში უკვე გაჩაღებულია ომი საბერძნეთის და ოსმალეთს შორის, აუცილებლად საჭიროა, რამდენათაც შესაძლებელია, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარების მდგომარეობის უზრუნველყოფა. ყველა ამ დაკავებულ ადგილებში გამოცხადებულია ნეიტრალური მდგომარეობა. მოკავშირეთა ჯარები და ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა დაემორჩილონ სრულ ნეიტრალიტეტის პირობებს ნახსენებ ომისადმი. მათ ეკრძალებათ ხსენებულ ომში მიიღონ რაიმე და როგორიმე სახით მონაწილეობა. კერძოდ დასახელებულ ადგილებში დაუშვებელია ჯარის ნაწილების შედგენა და არც შეიძლება ამ ადგილებში გასწვევ პირთა შეგროვება. ოსმალეთის და საბერძნეთის კერძო მოქალაქეთ შეუძლიანთ მიმოსვლა საბერძნეთში და ოსმალეთში. ბრძანების დედანზე ხელს აწერენ—საფ- უმ ღ. კომისარი პელე, ინგლისის—რუმბოლდი და იტალიის—კორონი.

## მესამე ინტერნაციონალისკენ

**რიგა.** 25 მაისი (რადიო). ლატვიის რკინის გზელთა პროფკავშირმა დაადგინა წითელ ინტერნაციონალს შეუერთდეს.

## კომუნისტების გამოსვლა პოლონეთის სეიმში.

**ვარშავა.** 25 მაისი. (რადიო) პოლონეთის სეიმმა გამოსცა კანონი პოლიტიკურთა ამნისტიის შესახებ, ამის შედეგათ პოლონეთის სეიმში პირველათ გამოვიდა კომუნისტურ პარტიის დეპუტატი... (დამახინჯებულია)...

## გაფიცვა გალიციაში

**ვარშავა.** 24 მაისი. (რადიო). ნავთის რაიონის მუშათა გაფიცვა გრძელდება. პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მოლაპარაკების გასამართავათ მუშებს დელეგაციის გაგზავნა მოსთხოვა (კავროსტა).

## ფრანგების დამარცხება მაროკოში.

**ბათუმი.** 26 მაისი. (დეპეშით). „დეილ-მეილი“-ს ცნობით, მაროკოს ბენიარენის რაიონში ფრანგების ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია აჯანყებულთა შემოტევის გამო, რომელთა შეიარაღებული ძალა 20 ათას კაცს უდრის.

## საფრანგეთის ჟანდარმერია.

**ნაუენი.** 25 მაისი (რადიო). გერმანიის მთავრობამ გამოიმუშავა ტექსტი ნოტისა, რომელიც უნდა გაუგზავნოს საფრანგეთის მთავრობას პროტესტის ნიშნათ მის მიერ გერმანიის საზღვრებში ჟანდარმერიის დაწესების გამო.

## მენშევიკები პარიზში.

**ბათუმი,** 26 მაისი. (დეპეშა) პარიზში გამოვიდა გაზეთი „საქართველოს თავისუფლება“. ამ გაზეთის საერთო ხელმძღვანელობა და გამომცემლობა ეკუთვნის ნ. ჟორდანიას და სხ. მენშევიკებს.

## კომუნისტ კოოპერატივების კომიტეტი.

**პარიზი.** ლიონში საფრანგეთის კოოპერატორთა ყრილობაზე შესდგა კომუნისტ კოოპერატორების კომიტეტი. კომიტეტის მიზანია დააარსოს კოოპერატიულ დაწესებულებებში კომიაჩეიკები.

## პორტუგალიაში.

**ლიონი.** 24 მაისი. (რადიო). პოლიტიკური მდგომარეობა პორტუგალიაში მეტათ გამწვავდა. მთავრობა გადადგა. მოელიან დეკრეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ.

## ზემოსილეზიის თვითგამორკვევა.

**ნაუენი.** 24 მაისი. (რადიო) მრავალრიცხოვანმა მიტინგმა ბერლინში დაადგინა: გამოსთქვას პროტესტი პოლონელების მიერ ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.

შემდეგ მიტინგმა დაადგინა: მიმართოს მოკავშირეებს თხოვნით, რომ მათ მიიღონ სასწრაფო ზომები ზემო-სილეზიაში ძალადობის შესაწყვეტათ და გადასწყვიტონ ამ ოლქის საკითხი პლებისციტის თანახმად, ესე იგი გადასცენ იგი გერმანიას.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ბრძანება № 54.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარისა**

ვინაიდან სამსახურის საქმეების გამო მე ბაქოში მივდივარ, ჩემს მოადგილეთ დროებით ვნიშნავ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. კვირკველიას, რომელსაც წინადადებას ვაძლევ დღესვე შეუდგეს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის აღსრულებას.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე. **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მაისის 31.

თფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 22

**ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა**

ბანკებში დაგირავებულ საქონლის ვადათა მსვლელობის შეჩერების შესახებ.

რადგან საქართველოს ყველა საკრედიტო დაწესებულებებში თავიდანვე შეჩერებული საბანკო ოპერაციები ვერ იქნა შემდეგ განახლებული იმის გამო, რომ მთავრობა შეუდგა საკრედიტო დაწესებულებათა საწყობებში ძვირფასი საგნებისა და საქონლის აღრიცხვას, ამით ცხადდება ყველა დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 1921 წ. თებერვლის 25 დან ბანკებში დაგირავებული საქონლის ვადათა მსვლელობა შეჩერებულია იმ დრომდე, სანამ საქართველოში განახლდება საბანკო ოპერაციები.

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი.**

რევკომის მდივანი **გაბრიჩიძე.**

1921 წ. მაისის 30.

თფილისი—სასახლე.

**რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს, საქართველოს პროფესიონალ კავშირთა საბჭოს, შრომის განყოფილებათ, შრომის სარაიონო ინსპექტორებს, დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს და პატრონებს.**

ამით გაუწყებთ ცნობად და სათანადო განკარგულება, აღსრულებისათვის, რომ შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების ძალით, ა. წ. ივნისის 1-დან 15 სექტემბრამდე როგორც თქვენს, ისე თქვენს ყველა ხელქვეითი დაწესებულებაში მუშაობა უნდა დაიწყოს დილის 8 საათიდან და დასრულდეს ნაშუადღევის სრულს 2 საათზე.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ზერძნიშვილი.**

# პატარა ფელეტონი

(შექანჯალებულის საყურადღებოთ).

ჩ რი ბიჭო, ჩარი, ჩარი..
მუშა ფასობს, არა გვარი;
ქუჩებში რომ გაიარო,
აღარ გინდა ჯავშან-ფარი,
აღარც შენი ჭალესილი,
ძველებური, ბასრი ხმალი!..

—

ჩარი ბოშო, ჩარი რამე
მენშევიკო, კარგი კმარა,
ევროპაში მოსეირნე,
ეს ჭორები რამ შეყარა!..
სსსუუ... ჯულელი დაფარფატობს,
ოჰ! რა რიგათ გამომ ვრალა,
ნულარ იტყვით... ხალხის მხსნელი...
ჰა, ჰა, ჰა... ხათაბალა.

—

ტაში ბიჭო, ტაში, ტაში,
კიდევ გამცვლით დიდსა გვარში?!?
ოთხი ვირთხა შეძრომია
ჩვენს მენშევიკ'ა ქორფა თავში;
დატრიალდა ჯოჯოხეთი,
კნიაზსა კრეს ხელი რქაში,
თავადიც ღარ დაინდვეს,
შემირცხვინეს ამდენ ხალხში!..

—

აგერ მოდის მოციბიკობს
ნინო, თებრო, ქეთო, მარო,
ხან ესფერობს, ხან ესდეკობს
მეცოდება ეს საბრალო..
ღარა მსურს, რომ ვიტანჯო,
დამ ნებე თავი ქალო
„მიწისტებო“—ოცნებობით
ლამის ჭკვაზე შეიშალო.

—

აბა კარგი, დაუაროთ,
დელი, დელი, დელი—დელა
შენც ხომ იცი არ მაქვს აზრათ
შენი ჩქმეტა, შენი კბენა;
ესდეკებმა ანტანტაში
შექნეს მალ-მალ სირბილ-რბენა
და იქიდან წამოუწყვეს
ქართველ მუშებს კბილთა ღრჭენა.

—

ტაში, ტაში... ყველამ ტაში.
კვიცივითა შევქენ რბენა,
ჩვენს „მწვ ნებსა„ დავერიე,
აუტეხე გულის ძგერა
კომუნისტებს გაუმარჯოს,
აქეთ ძმებო, ყველა, ყველა...

ხიკინჭალა

# ქრონიკა

**26 მაისს გამოცხადებულ ამნისტიის განხორციელება.** მაისის 27, იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე დაადგინეს განსაკუთრებულ კომისიის შედგენა, რომელშიაც შევლენ ან იუსტიციის სახალხო კომისარი და ან მისი მოადგილე; წარმომადგენლები: საქართველოს „ჩეკასი“ მე 11-ე არმიის საგანგებო განყოფილებისა, მე 11 არმიის სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამსჯელ გამასწორებელ განყოფილების გამგე, 26 მაისის ამნისტიის შესახებ გამოცხადებულ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ და ყველა ადგილებისათვის ერთგვარ ინსტრუქციის შესამუშავებლათ. ინსტრუქციის შემუშავებისთანავე შეუდგებიან გამოცხადებულ ამნისტიის განხორციელებას.

**ქალაქის წარმოებანი.** კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ საგარეო ვაჭრობის საშუალებით გადაგზავნა ბაქოში 100 მილიონი მან. სხვა და სხვა ნივთების და საგნების შესასყიდათ, ონკანისა, ტრამვაისა, ცენტრალურ ელექტრონის სადგურისათვის და ქალაქის დანარჩენ წარმოებებისათვის.

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შეუდგნენ იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს მოწყობას, რომელიც უხელმძღვანელებს და მოაწყობს იძულებითი სამუშაოს ბანაკებს და იძულებითი სამუშაოს ბიუროს დამნაშავეთა დაუტუსაღებლივ. ბანაკი და ბიუროები მოეწყობა, როგორც ცენტრში, აგრეთვე ადგილობრივ სამაზრო რევკომებთან. ამ ჟამათ მუშავდება სათანადო გეგმა დებულების და ინსტრუქციისა.

**ლტოლვილი დუხობორები.** ბორჯომში თავი მოიყარა 500-მდე ლტოლვილმა დუხობორმა. ისინი ემზადებიან სამხედრო გზით რუსეთში გასამგზავრებლათ; ლტოლვილთ ბორჯომიდან მცხეთაში ჩამოსასვლელათ მიეცემათ რამდენიმე ვაგონი.

**ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება.** ოთხშაბათს, 1 ივნისს საღ. 8 საათზედ, თბილისის მიხეილის სავაადმყოფოში შესდგება ჩვეულებრივი კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა.

**ბოტანიკური ბაღი.** თბილისის ბოტანიკური ბაღის ბოტანიკი გროსჰეიმი მივლინებაში იგზავნება ბაკურიანის მაღალი მთების განყოფილებათა ბაღებში მეცნიერულ მუშაობის სახელმძღვანელოდ ბოტანიკურ დარგში.

# ასურეთის უპარტიო გლეხთა ყრილობა

15 მაისს ა. წ. სოფ ასურეთში მოხდა ამ რაიონის გლეხთა უპარტიო ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებათ წინადღით თფილისიდან მოვიდნენ მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. მგელაძე, რევკომის წევრი,—განათლების განყოფილების გამგე ამხ. გურგენიძე, მაზრის კომპარტიის კომიტეტის წევრი ამხ. სუხიშვილი და კომპარტიის ქალთა განყოფილების წევრი ამხ. თამარ ადამიძე.

ჯერ დილის ხუთი საათი არ იყო, რომ სოფლებიდან გლეხობამ იწყო დენა და ერთი საათის განმავლობაში რევკომის შენობის ახლო 300—400 კაცამდე მოიყარეს თავი, მიუხედავათ იმისა რომ ყრილობაზე არჩევნები იმ წესით იყო მოწყობილი, რომ მას 150 კაცი უნდა დასწრებოდა. ხალხი კრების გახსნას მოუთმენლათ ელოდა, ეტყობოდა უნდოდა ერთხელ კიდე დარწმუნებულიყო, რომ კომუნისტები ქვეყნის დამგრევნი (როგორც ამას წლობით ჩასჩიჩინებდენ) კი არ არიან, არამედ ერთად ერთი პარტია, რომელიც გამომხატველია მათი სულის კვეთებისა. ყრილობაზე დაბარებული იყო რაიონის 21 სოფელი: ბოგვი, დიდი ენაგეთი, ასურეთი, ვარდისუბანი, პატარა ენაგეთი, არდისუბანი, ბორბალო, ვაშლოვანი, კოდა, მუხათი, მარაბდა, მარნეული, პატარა დურნუკი, დიდი დურნუკი, გოლთეთი, ტაბისი, სალარაშენი, ერთისი, ვარცხისი და კუმისი. რევკომის შენობა მორთული იყო საზეიმოთ. იქვე ახლო ჩრდილში ასურეთის გერმანელთა ორკესტრი მოთავსებულ იყო და ეტყობოდა უნდოდა პირველ ნამდვილ გლეხურ ყრილობისთვის მეტი საზეიმო ხასიათი მიეცა და დაემტკიცებიათ ქვეყნისთვის, რომ ქართველი გლეხობის ზეიმი მათი ზეიმია, და ქართველი გლეხის დღესასწაული—მათი დღესასწაულია.

ყრილობას ხსნის რაიონის რევკომის თავმჯდომარე და ულოცავს დამსწრეთ: ამხანაგებო, ამბობს თავმჯდომარე, თქვენი ყრილობა თფილისის მაზრის პირველი გლეხთა ყრილობაა, რომელიც მოხდა გადატრიალების შემდეგ, თქვენი ყრილობა პირველი ნამდვილი, უტყუარი ყრილობაა, რომელიც მოხდა თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ. დღეიდან თქვენ უფრო მეტათ ორგანიზაციულათ უკავშირდებით მთავრობას, დღეიდან და მხოლოდ დღეიდან თქვენ იღებთ მონაწილეობას რესპუბლიკის საქმეთა მმართველობაში. რაც აქამდის, მენშევიკების დროს იყო, ის მხოლოდ თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი. ბევრ ჭორებს ავრცელებდა ჩვენს შესახებ მენშევიკური მთავრობა, მაგრამ დღეს ყველა ეს ტყუილი გამოდგა. წითელმა არმიამ საქართველო კი არ დაანგრია, არამედ გაანთავისუფლა ქართველი ხალხი და გადასცა მას ძალაუფლება. თქვენ კარგათ დაინახეთ, რომ წითელმა ლაშქარმა ძალადობა და დარბევა კი არ აწარმოვა, პირიქით ის მოვიდა, როგორც ძმა და ძმური ხელი გამოგიწოდათ.

მთავრობამ სრული ამნისტია გამოაცხადა იმ დროს, როდესაც მენშევიკები ჩვენ გვდევნიდენ, გვატუსაღებდენ და გვხვრეტდენ. მაშ, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს გლეხთა და მუშათა სახელმწიფოს, გაუმარჯოს თქვენს სახელმწიფოებრივ მუშაობას,—ათავებს თავის სიტყვას ამხ. თავმჯდომარე. ამ სიტყვებზე ორკესტრი მარსელიოზას უკრავს და მთელი ხალხი ფეხზე დგება და მათ ვაშას ძახილს ბანს აძლევს ასურეთის კოხტა ხეობა. ხალხი აღარ ცხრება, ხალხი აღფრთოვანებას განაგრძობს და რევკომის თავმჯდომარეს ბევრი ზარის რეკვა უხდება, მანამ ხალხს გააჩუმებს. ამის შემდეგ არჩეული იყვნენ პრეზიდიუმში: ამხ. მგელაძე თავმჯდომარეთ და მის ამხანაგებათ: ამხ. ბერძნიშვილი და ამხ. კოკიანოვი, მდივნათ ამხ. გურგენიძე და ამხ. ხარაიძე. თავმჯდომარეთ არჩეული ამხ. მგელაძე ესალმება ყრილობას და ამბობს: თქვენ გადააჭარბეთ ჩემს მოლოდინს, მე არ მეგონა თუ ეს პირველი ყრილობა ასეთი მრავალ რიცხოვანი იქნებოდა, მე არ მეგონა თუ თქვენ ასეთი დიდის გულწრფელობით და აღფრთოვანებით შეეგებებოდით ჩვენს პირველ თფილისის მაზრის გლეხთა ყრილობას და იმედია ამ ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მოსპობთ სოფლებში გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა მთავრობის შესახებ. თქვენ ხალხს ეტყვით, რომ ჩვენ, კომუნისტები, ხალხის დოვლათის დამგრევნი კი არა, არამედ მის დამცველ შემნახველნი ვართ, თქვენ უნდა დაუდოთ სათავე მტკიცე კავშირს მთავრობასა და მუშა-გლეხთა შორის. გაუმარჯოს ჩვენ კავშირს, გაუმარჯოს ჩვენ შეერთებულ მუშაობას, გაუმარჯოს ჩვენს უფროს ამხანაგებს—ჩვენს მთავრობას. ამხ. მგელაძეს ხალხის ვაშას ძახილმა სიტყვა აღარ დაათავებინა და მუსიკამ ეს ვაშა მიდამოებს გადასცა. ამხ. მგელაძის შემდეგ მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ. თფ. მაზრ. კომპარტიის კომიტეტის წევრი ამხ. ლადო სუხიშვილი და ვაშლოვანის რევკომის თავმჯდომარე კოკიანოვი. ამხ. სუხიშვილი ესალმება ყრილობას კომპარტიის სახელით. ამხანაგებო, უბნება ამხ. სუხიშვილი ყრილობას, ჩვენი პარტიის ისტორია ოცდა ხუთი წლის ისტორიაა, ამ 25 წლის განმავლობაში ჩვენ თავგამეტებით ვიბრძოდით. ბევრი ჩვენი ამხანაგი მოკვდა ციხის ოთხ კედელ შუა. ბევრი ჩვენი ამხანაგი ავიდა სახრჩობელაზე, მაგრამ ჩვენ არ შევშინდით და ლელო ბოლომდის გავიტანეთ. ჩვენ მოვსპეთ თვითმპყრობელობა, ჩვენ მოვსპეთ ის ხალხის ზედმეტი ხორცი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გაიძახოდა: მუშა ხალხმა სახელმწიფო მართვა გამგეობის არა იცის რა, მუშა ხალხი სახელმწიფოს დაღუპავს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამხ ნაგებო, ისინი უსინდისოთ სტყუოდენ. ჩვენ არამც თუ შევქენით სახელმწიფო, არამედ შევქენით ისეთი სახელმწიფო. რომლის მოგონებაც კი შიშის ზარს სცემს ევროპის ბურჟუაზიას. ჩვენ ეხლა დიდი წითელი საშიშრობა ვართ დახავსებულ ევროპისათვის. ჩვენ დავანახვეთ და კიდევ დავანახვებთ, თუ რა არის შეგნებული გლეხკაცობა და მუშა, დეე, გაიგონ მათ, რომ ის ვინც ჰქმნის ქვეყნის სიმდიდრეს, მომავალიც იმისია და ის არის ბედნიერი მომავლის ბელადი. გაუმარჯოს მუშა ხალხს. ამ სიტყვების თქმაზე ხალხმა იგრგვინვა და გაუმარჯოს ძახილს ბოლო აღარ უჩანდა. ამხ. სუხიშვილის შემდეგ პირველ გლეხთა ყრილობას მიესალმა ამხ. კოკიანოვი, უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა და თხოვა ამხ. მგელაძეს ყრილობის სახელით გადასცეს სალამი და უსურვოს გამარჯვება საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, მუშათა და გლეხთა ბელადს, ამხ. ფ. მახარაძეს და აღუთქვამს მას ყოველნაირად მთელი თავის ძალ-ღონით დახმარებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში. ხალხმა ეს სიტყვები თავისებურ გულუბრყვილო მდაბიო სიტყვებით დაადასტურა: „ნამდვილია, აგრე გვინდა, გაუმარჯოს მთავრობას, აგრე იყოს, აგრე, ვაშა მთავრობას, ვაშა მთავრობას“. ეს უბრალო სიტყვები უფრო ბევრს ამტკიცებდა, ვიდრე გაწაფული ორატორის, მოქნილი, სხარტი სიტყვები და ჩვენ იქ დამსწრეთ ვიგრძენით, რომ ხალხი მიმხვდარა ვინაა მისი მტერი, ვინაა მისი მეგობარი.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ გამომუშავებულ იქნა დღიური წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე. 2) მაზრის რევკომის ინსტრუქცია და წევრთა შორის საქმის დანაწილება. 3) მიწის საკითხი და მისი გადაწყვეტა ს. საქართველოში. 4) მოხსენება ს. ხ. განათლ. განყოფილების გამგისა.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მგელაძე. ის ყრილობას აცნობს მოკლე ისტორიას რუსეთის რევოლიუციისას ევროპის ომიდან დაწყებულ დღევანდლამდე: ომის მიზეზებს, გადატრიალებას, მეფის ჩამოგდებას და რიგ-რიგათ ამა თუ იმ პარტიის სათავეში დგომას საბჭოთა მართველობის დაარსებამდის. აი ასე სულ მარცხნივ და მარცხნივ მიდიოდა მართვა გამგეობის საქმე—ამბობს ამხ. მგელაძე. ბატყუარებმა ვეღარ მოატყუეს ხალხი, როგორც გლეხმა მოატყუა დათვი. ამხანაგ მგელაძემ მთლიანად უამბო ყრილობას გლეხის და დათვის ამბავი. „აი სწორი სიტყვა, აი შენ გაცოცხლა ღმერთმა, მე და ჩემმა ღმერთმა კაი სიტყვაა, აი სწორედ ასე გვატყუებდენ“—ერთხმათ შესძახა ხალხმა, და გაისმა გულწრფელი სიცილხარხარი. დათვის მოტყუება ადვილია, განაგრძობს ამხ. მგელაძე, მაგრამ ხალხის მოტყუება კი არა. გლეხკაცობას მიწა სჭირია, აქამდის მას მიწას არ აძლევდენ, ჩვენ კი ვეუბნებით:—ინებეთ მიწა, მაგრამ „კუპჩით“ კი არა, როგორც აქამდის მენშევიკები ამას შვრებოდენ, არამედ „უკუპჩოთ“ და იმდენი, რამდენსაც დაამუშავებთ. ამხანაგებო! განა ეს სამართალი იყო? აქამდის ზოგს მიწა იმდენი ჰქონდა, რამდენიც უნდოდა, და ზოგს კი ისე ცოტა, რომ თავის ეზოში რომ იჯდა ცხვირი მეზობლისას ჰქონდა გადაყოფილი. ამის თქმაზე ხალხი სიცილს ვეღარ იკავებს და დაუსრულებელ ხარხარს და ვაშას ძახილს ბოლო არ უჩანს. მოითმინეთ ამხანაგებო, მოითმინეთ, იძახის ამხ. მგელაძე და განაგრძობს: აი ამ უსამართლობამ გამოიწვია საშინელი ომი და ეს მით გათავდა, რომ „ღინჩკამ“ თავში ჩაუკაკუნა თავის გენერალს და გლეხმა თავის ბატონი „ტაჩკით“ სანაგვეზე წაიღო გადასაგდებათ. ეს ბრიყვობა ევროპის ბურჟუაზიას არ მოეწონა. აისხა 3 მუხლასავით ხმალ-იარაღი და რუსეთის დასაქცევათ გამოემართა; მას მიემხრო ზოგიერთი ცრუპენტელა სოციალისტები და ასე შეერთებული ძალით უნდოდათ საბჭოთა რუსეთის დამხობა, მაგრამ ამაოდ, როგორც ხედავთ, ჩვენ ცოცხლები ვართ და აი ამ თქვენს ხეობაშიც კი ჩვენი მქუხარე ხმა გაჰკივის. მართალია, არ უნდა დავმალოთ, რომ იყო დრო, როდესაც რუსეთის დედა ქალაქი მოსკოვი შეწუხდა, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ მაინც გამარჯვებულნი დავრჩით. ახლა გადავალ ამხანაგებო იმაზე, თუ რამ გამოიწვია საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარების შემოსვლა. ამის შესახებ ბევრი შეიძლება ილაპარაკო, ამის მიზეზი ისე რთული და მრავალმხრივია, რომ ამაზე ლაპარაკი მოითხოვს ბევრ დროს. ბრძანეთ, ბრძანეთ, ჩვენ მზათ ვართ მთელი ღამე ყური გიგდოთ—გაისმის ხალხში. ამხ. მგელაძე განაგრძობს თავის სიტყვას: ჩვენ ასეთი საკითხი დავსვით—რათ შემოვიდა საქართველოში რუსეთის წითელი ლაშქარი? ამხანაგებო! ევროპის დახავსებულმა ბურჟუაზიამ, როგორც ზემოთ ვთქვი ყოველნაირი ზომები იხმარა რუსეთში გლეხურ მუშური რევოლიუციის ჩაქრობ. მან შემოუარა რუსეთს გარშემო, შემოუტია შავი ზღვიდან, თეთრი ზღვიდან და ბალტიის ზღვიდან მაგრამ ყველგან ხახამშრალი დარჩა, მან ვერ მოახერხა რუსეთის ჯარის დამარცხება, მან ვერ მოახერხა რუსეთის გლეხთა და მუშათა საბრძოლველად დაკუმშული ძლიერი ცეცხლში ნაწრთავი მუშტი გაეხსნა და უკან გაბრუნდა; მაგრამ თქვენ გგონიათ ამის შემდეგ გაჩერდა ის? არა. მან ახლა სწორედ მის შესაფერ და მისი გახრწნილი სულის და ხასიათისებრ ზომებს მიმართა. მან მოსძებნა თვით რუსეთში ბნელი ძალები და მათთან უსინდისო დალალობით ვაჭრობა გამართა. დიახ, მისი იმედით, მისი ფულით, მისი იარაღ-ტანსაცმელით იყო შემოსილ შეიარაღებული დენიკინის, კოლჩაკის და სხვა გენერლების ჯარები. იმ გენერლების ჯარები, რომელნიც გაცოფებული ძაღლებივით იბრძოდენ წითელ ლაშქარს. მაგრამ, როგორც ალბად გაგეგონებათ, ყველა ეს გენერლები დამარცხდენ და კუდამოძუებულნი და ენა გადმოგდებულნი ევროპისკენ გაიქცნენ. აქაც დუშში არ მოუვიდა ევროპიას ბურჟუაზიას. აქაც გამარჯვებული და მაღლა აღმართული დარჩა სოციალიზმის წითელი დროშა. ამის შემდეგ უკვე ევროპის ბურჟუაზიამ ხელი ჩაიქნია და გადასწყვიტა მიენებოს რუსეთს თავი, თავშიც ქვა გიხლია, თქვა მან, და მიიღო გადაწყვეტილება-თუ რუსეთში ვერას გახდა, ის მაინც ჰქნას, რომ ეს მოძრაობა რუსეთის ფარგლებს არ გადასცდეს. აი ამ დროიდან იწყება ჩურჩული ევროპასა, საქართველო, სომხეთ და აზერბეიჯანს შორის. ამ დროიდან მოხდა ის საკვირველი მოვლენა, რომ ევროპის ბურჟუაზიას შეუყვარდა საქართველო, მისი თავისუფლება, მისი ენა.

აქედან იწყება სიყვარულის გამოცხადება ევროპასა და საქართველოს შორის. აფსუსი არ არის, ეფუჩუნება ევროპა საქართველოს, რომ შენ რუსეთის ჯარმა ისე მოგსპოს, როგორც მან რუსეთი მოსპო? არა, შენ ნუ გეშინია, შენ თავს მე ვერავინ წამართმევს, მე უკანასკნელ სისხლის წვეთს არ დავიშურებ შენი თავისუფლებისთვის. ასე თვალთმაქცობდა ევროპა და ამით თავის საქმეს იკეთებდა, რომ წითელი დროშა მის ასი წლობით დამონავებულ ქვეყნებში არ აფრიალებულიყო. მისთვის ჭიან ტყემლათ არ ღირდა საქართველოს ბედილბალი. მას უნდოდა მხოლოდ საქართველო გამოეყენებინა, როგორც ადგილი, სადაც ის თავს მოუყრიდა ყველა შავ-ბნელ ძალებს და ამით ვითომ გასაქანს არ მისცემდა რუსეთის წითელ ლაშქარს. მენშევიკები, წინანდელი თქვენი მთავრობა, გადაიქცა ევროპის გახრწნილ ბურჟუაზიის სათამაშო იარაღათ, მის ლაქიათ. შენ თავი უნდა შეაფარებინო ყველა იმას, ვისაც ჩვენ გეტყვით, უთხრა ევროპამ მენშევიკებს. მან დაბლა თავი დაუკრა და მოახსენა „ყაბულ“. ამის შემდეგ, აქ საქართველოში, თავს იყრის აზერბეიჯანის, სომხეთის, რუსეთის და მთიელთა სახელმწიფოების კონტრ რევოლიუციონერთა ძალები.

მშვენიერი საქართველო გადაიქცა გველ წიწილთა ბუნაგათ. აქ იქოვებოდა, აქ მზადდებოდა კონტრ რევოლიუციის ბუდე. საბჭოთა რუსეთმა არა ერთხელ გააფრთხილა მენშევიკები, არა ერთხელ თხოვა ხელი აეღო ასეთ როლის ასრულებაზე, მაგრამ ამაოდ. და როდესაც წითელი რუსეთი დარწმუნდა, რომ ლმობიერი, ძმური, ამხანაგური სიმტკიცე ვეღარაფერს შვრება და ხალხიც ადგა ასეთი პოლიტიკის და თავის შევიწროების წინააღმდეგ მან დახმარების ხელი გამოგვიწოდა და მენშევიკთა რაზმები დენიკინის ბუნაგისკენ გაამგზავრა. აი, ამხანაგებო, რატომ შემოვიდა საქართველოში რუსეთის წითელი ლაშქარი, ათავებს სიტყვას ამხანაგი მგელაძე. ყრილობა დაუცხრომელი ტაშით აჯილდოვებს ორატორს. მოხსენების გათავების შემდეგ ყრილობაზე შემოდის საქართველოს გერმანელთა ახალშენების წარმომადგენელი ლამპარტერი და სიტყვას თხოულობს. მე, როგორც წარმომადგენელი საქართველოში მცხოვრებ გერმანელებისა, ამბობს ლამპარტერი, ვესალმები ამ ყრილობას და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის თვალსაჩინო გარჩევა, რომელიც არის აწ არსებულ და ყოფილ მთავრობის შორის. მე, როგორც გერმანელ ახალშენთა წარმომადგენელს არა ერთხელ მომიხდა ყოფნა და ლაპარაკი როგორც მთავრობის თავმჯდომარესთან, ისე ჩვენი მაზრის ხელმძღვანელთან ამხ. მგელაძესთან და მათთან ლაპარაკმა და მთმა საქმემ დამარწმუნა, რომ აწ არსებული მთავრობა არის ის მთავრობა, რომლის მართვაგამგეობის დროს ყველა ერს შეუძლია გაანვითაროს თავის სულიერი მოთხოვნილება, მხოლოდ ამ მთავრობის დროს შეუძლია ყველა ერს იგრძნოს სრული თავისუფლება. მხოლოდ ახლა აღარ არის სახელმწიფოში პირველი და მეორე ხარისხის მოქალაქენი. გულწრფელად ვესალმები ჩვენს მთავრობას და უსურვებ გამარჯვებას, ათავებს სიტყვას ლამპარტერი. ყრილობამ, როგორც ერთმა კაცმა, ვაშას ძახილით დაადასტურა მისი სიტყვები.

ამის შემდეგ მოსული ამხანაგები აცნობენ ყრილობას რევკომის კონსტრუქციას და წევრთა შორის საქმეების დანაწილებას და გადადიან პირდაპირ მიწის საკითხზე. მაგრამ აქ ამხანაგებს ხალხი ლაპარაკს აღარ აცლის, რადგანაც ნათელია, რომ მიწის საკითხი საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისით უკვე გადაწყვეტილია, რომ მას ნება აქვს მოხნას იმდენი მიწა, რამდენიც შეუძლია, რომ მიწა მისია, თხოულობს ამხანაგებისაგან წვრილმანების განმარტებას. ყველას ხათითაოდ უნდა ჰკითხოს ის, რაც მას ყველაზე უფრო აინტერესებს და აწუხებს. ირევა მონასტერი და სამივე ამხანაგს ცალცალკე ეხვევა გლეხკაცობა. ყრილობა სამ ჯგუფად გაიყო და ჩვენი გულუბრყვილო გლეხკაცობა ერთი მეორეს აღარ აცლის, რომ მოსული ამხანაგებიდან სწორი და გადაწყვეტილი პასუხი მიიღოს მისთვის დიად და ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქმნა, ყრილობა თავის კალაპოტში დგება და ყველა სოფელმა სამ-სამი კაცისაგან შემდგარი კომისიები აირჩიეს. ამას გარდა არჩეულ იქნა ცენტრალური სარაიონო მიწის კომისია სამი კაცისაგან, რომელშიაც შევიდნენ: ახსიცევი, აბერლე და ფიქრიშვილი.

არჩევნების შემდეგ როგორც იყო დაშოშმინდა ხალხი და ამხ. გურგენიძე აკეთებს მოხსენებას სახალხო განათლების შესახებ. ამხანაგებო, ამბობს ა. ხ. გურგენიძე, მე მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა ამ მაზრაში მუშაობა. სწორეთ ეს დარგი—დარგი სახალხო განათლებისა, ეს ის დარგია, რომელსაც საბჭოთა რუსეთში უპირველესი ადგილი უჭირავს, სულ მოსისხლე მტრებიც კი ვერ უარყოფენ, რომ საბჭოთა რუსეთში ამ სამი წლის განმავლობაში იმდენი გაკეთდა ამ დარგში, რაც სხვა ევროპის სახელმწიფოებში რამდენიმე ათეულ წლებში არ გაკეთებულა. თქვენ შეგიძლიათ, ამხანაგებო, დაემდუროთ რუსეთის წითელ არმიელს, რომ მან თქვენი შენახული თივა თავის ცხენებს შეაჭამა, მაგრამ ერთს კი ვერ უარყოფთ, რომ წინანდელი ნიკოლოზის სალდათის და ახლანდელ წითელ არმიელს შორის დიდი ზღვარი ძევს. მაშინდელი სალდათი ბრიყვი, გაუთლელი, უხეში ძალა იყო, ეხლანდელი წითელი არმიელი ზრდილობით აღსავსე ვაჟკაცია. ეს იმისა მიზეზია, რომ მასთან დღე და ღამ მეცადინეობენ. ერთი ჩემი ნაცნობი კაცი ხუმრობდა, წითელ არმიელებს საჩრებშიაც კი წერაკითხვას ასწავლიანო. მას ხუმრობათ მიაჩნდა ეს და მე კი გეტყვით—ეს მართალია. ჯერ სულ ორი დღის შემოსული იყო თბილისში წითელი არმია და მათთვის სკოლები—კურსები გახსნეს, უკვე წარმოდგენები დადგეს და სხვა. რუსეთში საერთო ლოზუნგია—ყველაფერი ბავშვებს, ყველაფერი მოზარდ თაობას. ეს ლოზუნგები იქნება ჩვენიც და ვეცდებით ყველივე ძალ-ღონე ვ ხმაროთ, არაფერს არ დავიშურებთ, რომ ხალხის განვითარება შესაფერ საფეხურზე დავაყენოთ.

გეგმა ჩვენი მუშაობის ასეთია: ხალხის განვითარების საქმეს ჩვენ ვყოფთ სამ ნაწილათ: პირველი მეცადინეობა ბავშვებთან სკოლის ასაკამდის, ე. ი. 4 დან 8 წლამდე. ამ ხნის ბავშვებისთვის ჩვენ გავმართავთ საბავშვო ბაღებს, საბავშვო მოედნებს. საბავშვო ბაღებს და მოედნებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ბავშვების აღზრდა-განვითარების საქმეში, ისე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ზაფხულში მუშაობის დროს ჩვენ განვათავისუფლებთ მუშა დედებს ამ პატარა მოუსვენარი ხალხიდან, რომელნიც მუდამ კაბის ბოლოზე ხელმოვლებული დედას უკან მისჩხავიან და ხელის განძრევას უშლიან. ჩვენ ამ მოედნებზე ებში თავს მოუყრით ბავშვებს განსაკუთრებით მათთვის დაქირავებულნი იქნებიან მასწავლებელი ქალები, მთელი დღე მათთან იქნებიან და გართობასთან ერთად ნელნელ შეაჩვევენ ხატვას, ქაღალდებიდან სხვადასხვა რამეების გამოჭრას და სხვა. გუშინ მე აქაურ გერმანელებთან უკვე მქონდა მოლაპარაკება და ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ერთ კვირაში გავხსნათ ასეთი მოედანი, სადაც, როგორც ვიანგარიშეთ 150 ბავშვი იქნება. ასეთივე საქმე ეწყობა და ახლო მომავალში გაიხსნება ასეთივე ბაღები ს. დიღომში, ავჭალაში და სხვაგან.

ეს პირველი ნაწილია, მეორე ნაწილი იქნება სკოლებს მოწყობის საქმე. უნდა გითხრათ, რომ მაზრაში 200 სოფლამდის არის და ამ 200 სოფლიდან მხოლოდ 68 სოფელში არის სკოლა; ჩვენ ვეცდებით, და მე იმედიც მაქვს, ეს რიცხვი გავაორკეცოთ. სკოლაში სწავლება ყველა ბავშვისთვის აუცილებელი იქნება და იმედია თქვენც ამაში ხელს შეგვიწყობთ.

მესამე ნაწილი—ეს შეეხება მხოლოდ მოზრდილებს როგორც მამაკაცებს ისე დედაკაცებს. აქ ამხანაგებო, სწორედ თქვენზე არის ლაპარაკი, თქვენს განვითარებაზე და სწავლაზე არის მიქცეული ყურადღება. ბევრმა თქვენგანმა არ იცის წერა კითხვა, ამისთვის ჩვენ შემოდგომიდან დავაარსებთ სკოლებს მოზრდილთათვის, სადაც თქვენ უნდა წერა კითხვა ისწავლოთ. არა ნუ გეცინებათ, თქვენ გგონიათ ეს შეუძლებელია? მოიცადეთ პატარა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს საქმე სასაცილო არ არის—ეს სულ ადვილი საქმეა და ახლო მომავალში თქვენ ქაღალდზე ჯვრების დასმის მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ, თქვენ გვარს და სახელს თავისუფლად მოაწერთ. გავმართავთ თეატრებს, კლუბებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მცოდნე ხალხი ივლის სოფელ-სოფელ და გასწავლით მას, რაც საჭიროა სასოფლო საქმის გასაუმჯობესებლად—საქონლის, ხილის, ვენახის და ბოსტნის მოვლას და სხვადასხვა.

აქვე ვეცდებით გაგაცნოთ ჩვენი პარტიის საქმის ვითარება, მისი შეხედულება ამა თუ იმ საგანზე, ამა თუ იმ საქმეზე და მაშინ თქვენ უფრო ფხიზლად და შეგნებულად მოეკიდებოდით როგორც ჩვენი პარტიის მომუშავეთა [illegible], ისე სხვა პარტიებისას.

ასე, ამხანაგებო, მე ვათავებ ჩემს საუბარს თქვენთან და გთხოვთ დაგვეხმაროთ ახალ დაწყებულ საქმეში, ათავებს სიტყვას ამხ. გურგენიძე და ხალხი ტაშის ცემით აჯილდოვებს მოლაპარაკეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კრებას დახურულად აცხადებს, მაგრამ ხალხი დაშლას არ ფიქრობს.

თვალის დახამხამებაში გროვდებიან მოსული ამხანაგების გარშემო და შეკითხვებზე ამხანაგები პასუხს მიცემას ვერ ასწრებენ. აგერ იმ ჯგუფში, სადაც ამხ. სუხიშვილი ლაპარაკობს, ორი გლეხი ერთმანეთს შეელაპარაკა: დაიცა. შე ოჯახქორებულო, ეუბნება ერთი გლეხი მეორეს, ვერა ხედავ, რომ ვლაპარაკობ, შენ თუ გაქვს საკითხი, მეც მაქვს.

აგერ დღე ღამეს ეყრება და ხალხი კიდევ არ იშლება, მაგრამ დაღლილ ამხანაგებს მეტი აღარ შეუძლიათ და ემშვიდობებიან ხალხს, ჰპირდებიან კიდევ ნახვას და დასასვენებლად მიდიან.

**სტეფანე.**

## ქართველ წითელ არმიელთა ცხოვრებიდან.

ა. წ. 28 მაისს ქართველ წითელ არმიელთა სადარაჯო პოლკის საერთო ყრილობაზე ამხ. ნავმა გრიგოლ პარკაძემ „თანამედროვე მომენტის“ შესახებ მოხსენება გააკეთა. ამხ. მომხსენებელმა კრებას გააცნო განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება რუსეთის რევოლუცია, კერძოთ საქართველო მას შემდეგ, რაც ჩვენში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ამხ. პარკაძემ სთქვა, რომ თანამედროვე პირობების მიხედვით მთელ ქვეყნიერებაზე დამყარდა ისეთი გარემოება, რომელიც სავსებით აშკარავებს გაბატონებულ კლასების, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის სრულ გაკოტრებას: პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და მორალურათ. უკვე დასდგა ჟამი მათი ბატონობის გაუქმებისა, იმპერიალისტურ ბურჟუაზიის პოლიტიკურ წყალობით კაცობრიობა დაღუპვის კარამდე მისულია საერთაშორისო ომის შემდეგ, რომელიც დღესაც არ დასრულებულა და რამდენიმე წლიწადს კიდევ არ დასრულდება. კაცობრიობის წინაშე დგება საკითხი ყოფნა არ ყოფნისა. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო და ვერც შესძლებდა ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნას. ისტორიულად ეს როლი უნდა ეკისრა მუშათა კლასს და აი მოხდა რუსეთის 25 ოქტომბრის უდიდესი რევოლუცია. რუსეთის რევოლუციონერმა მუშებმა, ხელში აიღეს ძალაუფლება, მაგრამ აქ იწყობა უდიდესი სამოქალაქო ომის ხანა, რომელიც სამი წლიწადი გრძელდება. არ ყო ქვეყანაზე ისეთი იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელთაც კი რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღოთ კერძოთ საქართველოს მენშევიკური სახელმწიფო მთელი თავის მოქმედებით რევოლუციის მტრებთან ბანაკში იყო. ის ეხმარებოდა კონტრ-რევოლუციას სიტყვით, გაზეთებით, ქონებრივათ და ცოცხალ ძალებით. თავის გამარჯვებას მენშევიკები რუსეთის რევოლუციის დამარცხებაში ხედავდენ, იმ რევოლუციის, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მიანიჭა და თვით მენშევიკებს საშუალება მისცა წამოსკუპებული ყოფილიყვნენ თუნდაც პატარა საქართველოში, მაგრამ რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა.

25 თებერვლიდან ჩვენშიაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს დამოუკიდებლობა არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც დღეს არის. ამიერიდან სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს გზა არის მტკიცე და მეგობრული განწყობილება რუსეთის და სხვა საბჭოთა სახელმწიფოებთან, მეორე მხრივ ძმური და ამხანაგური კავშირი დასავლეთ ევროპის რევოლუციონურ პროლეტარიატთან. ქართველმა მუშებმა, გლეხებმა და წითელ არმიელებმა უნდა კარგათ შეიგნონ, რომ იმ გაჭირვებიდან რომელშიაც ჩაყენებულია მთელი ქვეყნიერება ხსნა მხოლოთ მშრომელ კლასების ძლიერ შეკავშირებაშია. არც ერთი საათი უმოქმედობის, არც ერთი მუშა ხელი, არც ერთი გულწრფელი მშრომელი არ უნდა გაუდგეს იმ დიდს საქმეს, რომელიც კომუნისტური ამხანაგობას ხელს შეუწყობს. ამით დაასრულა ამხ. პარკაძემ თავისი სიტყვა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ჩვენ ქართველი წითელი არმიელები საყარაულო პოლკისა, ფიცსა ვსდებთ დავიცვათ მთელი ჩვენი არსებით და სიცოცხლით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება.

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

**გიორგი ვარსიმაშვილი.**

# პროვინციაში

### ბორჯომის რაიონი.

ბორჯომის რაიონი ითვლება საქართველოს თაიგულათ. მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიურათ აღორძინებისათვის, როგორც ხე-ტყის ექსპლოატაციის მხრით, ისე როგორც საუკეთესო კურორტს. ბაკურიანი, ცემი, წაღვერი და თვით ბორჯომი განთქმულია მჟავე წყლებით და საუცხოვო ჰაერით. ზაფხულობით ეს აგარაკები იზიდავენ ფართო საზოგადოებას, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთიდან. ამ აგარაკთა შორის ყველაზე უფრო მოწყობილათ არის ბორჯომი, ვინაიდან ქ. ბორჯომი ითვლება ცენტრათ და აქ გაშენებულია აგრეთვე სასახლეები მეფეების ჩამომავლთა მიერ. იმ დროინდელი მთავრობა ცდილობდა, რომ კურორტი მოეწყო ევროპიულ გემოვნებაზე და მხოლოთ ის ყოფილიყო მოწყობილი თავის სასიამოვნოთ. აქ არის მკურნალი მჟავე წყლები, პარკი კურზალით და საზაფხულო თეატრით. ძველათ კურორტი იყო ხელმისაწვდომი მხოლოთ ბურჟუა-ბიუროკრატიისთვის. საწყალი მუშა და გლეხი, რომლის ოფლით და შრომით იყო კურორტები თვალწარმტაცი და გაშენებული ვერ სარგებლობდა მით. როდესაც 1917 წ. დაჰკრა თავისუფლების ზარმა და რუსეთის პროლეტარიატმა ერთი დაკვრით მიწასთან გაასწორა მეფე ნიკოლოზის თვითმპყრობელობა და მით იხსნა მძიმე უღლისაგან თავისი თავი, კავკასიის ერებმაც იგრძნეს ეს თავისუფლება. მაშინდელმა რუსეთის მთავრობამ კერენსკის მეთაურობით ვერ გაამართლა ხალხის იმედები; ის ბურჟუაზიასთან ერთად დაადგა ნამდვილ იმპერიალისტურ გზას. მოხდა ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის მუშათა კლასს სათავეში მოექცა ლენინის მეთაურობით საბჭოთა სოც. მთავრობა. ამიერ კავკასია გამოეყო თავის უფროს ძმა რუსეთს, სოციალისტ გამყიდველების მეოხებით და დაარსა საქართველოში ამიერკავკასიის კომისარიატი. ბოლოს მოხდა ამიერ კავკასიის კომისარიატის დაშლა და მისს ნანგრევებზე აღმოცენდა ცალკე რესპუბლიკები: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. საქართველოს ბატონ-პატრონათ მოევლინა მენშევიკური მთავრობა. მათ მიერ წამოსროლილი სიტყვები „თავისუფლება და დემოკრატიზმი“ ჰაერში გამოკიდებული დარჩა. გამეფეს იგივე წესები რაც ნიკოლოზის დროს იყო, კურორტებით სარგებლობა არგუნეს მხოლოთ ბურჟუაზიას. მაშინ მენშევიკურ მთავრობამ გახსნა ქ. ბორჯომში დიდი ზეიმით სახელმწიფო სანატორიუმი, ვითომ და საქართველოს ავათმყოფ დემოკრატიისათვის. გამართეს სადილი მოიწვიეს „საპატიო“ სტუმრები, სადაც წარმოთქვეს სიტყვები და დაილია სადღეგრძელოები საქართველოს დემოკრატიისა. ახლა არ იკითხავთ ისარგებლა, თუ არა საქართველოს დემოკრატიამ ამ სანატორიუმით?!, გეტყვით, რომ, ავათმყოფ მუშას და დაბალ მოსამსახურეს იქ ადგილი არ ქონია. დააწესეს თვიური გადასახადი 20—25 ათასს მან. და გახადეს ხელმისაწვდომი მხოლოთ ბურჟუაზიისათვის. იმ დროს სანატორიუმში „ავათმყოფები“ ირიცხებოდა 20 კაცამდე. მათ შორის ნამდვილი ავათმყოფი იყო მხოლოდ ორი თუ სამი. უმრავლესობა მათი იყო რუსეთიდან გამოქცეული ბურჟუები, დანარჩენი კი ადგილობრივი შეძლებული პირნი. ასე უნდა ხალხზე ზრუნვა.

საქართველოში საბჭოთა მთავრობის დაარსების შემდეგ, მდგომარეობა სრულიათ შეიცვალა. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ კურორტებით ისარგებლონ ყველა ეროვნების ავათმყოფ და სნეულიან მუშებმა, და აგრეთვე ავათმყოფ წითელ არმიელებმაც, რომლებიც არიან მთლიათ პროლეტარიატის თავისუფლების ერთად ერთი დამცველნი. ამისათვის დანიშნულია საკურორტო კომისია, რომელსაც შემუშავებული აქვს გეგმა კურორტების სათანადოთ მოსაწყობათ. ვიმედოვნებთ, რომ ყველა კურორტებს ექნება დანიშნულება მხოლოთ ავათმყოფთათვის.

**სხივი**

### ოზურგეთი

თანდათანობით ხალხი ირკვევა, ადარებს ძველი და ეხლანდელ ცხოვრების პირობებს, და სრული კმაყოფილია ეხლანდელ მართვა-გამგეობით. ღრმად დარწმუნებული რომ საშიშო აღარ არის რა, ყოველი მშრომელი კაცი—თუ ქალი თავ-გამოდებით მუშაობს. მთელ გურიაში ჯერ არ გაგონილი სიწყნარეა, იმართება კრებები, ლექციები, წარმოდგენები, რაც ხალხს გონებრივ აძლევს განვითარებას, 19 მაისს ქ. ოზურგეთში წარმოადგინეს „არსენა“ შემდეგ წაიკითხეს ლექციები და გურული სცენები. სწორი უნდა ითქვას, რომ მსახიობთ კარგად ჰქონდათ შესწავლილი თავთავიანთი როლები—რამოდენიმე პირთა გამოკლებით, რომლებმაც, როგორც გურულებს, არ ეხერხებოდათ ქართლურ კილოზედ ქართული ლაპარაკი.—როგორც ეს წინედ, კომ № 38 აღვნიშნე, დამწრე საზოგადოების ნაწილი, ვერ იქცეოდა სასურველად. ისევ ისეთ-პაპიროსის წევა, თხილის მტვრევა, სკამებზედ უწესრიგოთ მოთავსებას ჰქონდა ადგილი, თუმცა ადმინისტრაციას აქვს გამოცხადება გაკრული, რომ ასეთები არ მოხდეს. თან ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პირველი გამოსვლა იყო, გრუკავროსტას სცენის მოყვარეთა ოზურგეთში, რომლებსაც ეტყობათ ყოველ ღონეს ხმარობენ განათლება შეიტანონ ხალხში და თვით ხალხმა თუ დახმარება არ გაუწია, ორივე მხარისთვის საზარალოა.

ოზურგეთში ეხლად დაარსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, უკვე გაშალა მუშაობა თავისი განყოფილებით, საჩივართა. ბიუროთი ახდენს რევიზიას ყოველ დაწესებულებებში და ღებულობს საჩივრებს აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი საქმის წარმოება დაწესებულებებში და მით უმეტეს ბუხჰალტერიაში ჯერ არის ჯერ სასურველ ნიადაგზედ დაყენებული, მაგრამ სრული იმედია ინსპექცია თავის სპეციალისტ-თან მშრომლების ენერგიული მუშაობით ყოველივე დაბრკოლებას გადალახავს და საქმეს თავის სიმაღლეზედ დააყენებს. სურსათი ოზურგეთში იშოვება, თუმცა ფასები ხელოვნურად. ზღაპრულად გადიდებულია. დიდ გასაჭირში არიან საერთოდ მოსამსახურენი. სოფლის გლეხი, ასე-თუ ისე თავს გამოიკვებს, ამიტომ პირველ რიგში თანამშრომელს სურსათის მხრით შეძლების და გვარათ—ყურადღება უნდა მიექცეს. გურიაში ის ფართალი, რომელიც სამაზრო რევკომს ჰქონდა, უკვე განაწილდა.

**შა—ლი.**

### ბორჯომის რაიონი.

15 მაისს შესდგა ბორჯომის რაიონის მუშათა და გლეხთა მიტინგი.

მიტინგზე გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. მოსეცინაძის მუშათა და გლეხთა დღიური ამოცანებზე საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში, მიტინგი ფიცსა სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მუშათა და გლეხთა მთავრობის გასამაგრებლად ადგილობრივათ. მიუხედავათ იმისა, რომ ეს რაიონი დღეს განიცდის ყოველ გვარ გაჭირვებას, ჩვენ სრულიადაც არ ვკარგავთ უნარს, გამბედაობას კონტრრევოლუციასთან, შავრაზმელებთან, ბურჟუა-სპეკულიანტებთან ბრძოლისას, პირიქით ჩვენ მზათ ვართ პირველ დაძახებისთანავე როგორც ერთი, ისე სულ ყველა დავდგეთ ფეხზე და დავიცვათ საქართველოს ეს ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა. გაუმარჯოს წითელ ლაშქარს და მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას.

მიტინგის თავმჯდომარე. **ბიწაძე.**

### დაბა შორაპანში.

26 მაისის დღესასწაულისთვის ხუთი დღით ადრე იყო ამორჩეული მომწყობი კომისია, რომელმაც რკინის-გზელების დახმარებით და ენერგიით საუკეთესოთ ჩაატარა ზეიმი. იყო მოწყობილი სადილი; ხალხი მთლიანად იღებდა დღესასწაულში მონაწილეობას როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ზესტაფონიდან ჩამოსული ამხანაგები. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა, გამოვიდნენ სამი ორატორი, რომლებმაც ნათლად გააშუქეს მენშევიკების პოლიტიკა, მათი ლაქიობა და მათგან დამახინჯებული 26 მაისი. ხალხი ტაშის ცემით შეხვდა ორატორებს. წარმოდგენის შემდეგ მღეროდა მომღერალთა გუნდი, მუსიკა ასრულებდა „ინტერნაციონალს“. დაბოლოს კი გაიმართა ცეკვა. ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა.

**ნიკო ხაშურელი.**

### სოფ. ზედა თეკლიათი.

17 მაისს სოფ. ზედა-თეკლიათში მოხდა პირველად უპარტიო ქალთა კრება. დაესწრო რიცხვით ასამდე ქალები. კრებამ აირჩია კრების თავმჯდომარეთ ელენა სახოკიასი და მდივნად ვერა გახოკიძე.

კრებას ხელმძღვანელობს მაზრის ინსტრუქტორი ალექსანდრე ოჩიგავა და მოხსენებას აკეთებს, თუ რა უნარი აქვს ქალებს რევოლუციაში. აკეთებს მოხსენებას დღევანდელ მომენტზე პისტი გვასალია.

მოხსენებები მოისმინა კრებამ დიდი ყურადღებით და მასთან გამოსთქვა სურვილი, ენერგიულად იმუშაონ საბჭოთა აღმშენებლობაში.

ქალთა წრისთვის ხელმძღვანელებათ იქნენ არჩეულნი 1. ძაძუ ხურცია, 2. იუსტინა ფაჩულია, 3. ვერა ლომია, და 4. ჯოზია ანჯაფარიძე.

სამაზრო ქალთა ყრილობაზე, დელეგატათ იქმნა არჩეული კამა დგებუაძისა.

კრების თავმჯდომარე: **ელენა სახოკია.**

მდივანი: **ვერა გახოკიძე.**

### სოფ. კინჩხა.

16 მაისს აქ შესდგა მრავალ რიცხოვანი ქალთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა კატო მანდარია და მდივნად ლეონიდა ჩხეიძის ქალი. მოხსენება გააკეთა ამხ. კატო გოგუაძემ, რომელიც შეეხო ქალის მდგომარეობას, ნიკოლოზის და მენშევიკების დროს, რა მისცა ქალს საბჭოთა მთავრობამ, როგორ უნდა მოიხმაროს ქალმა თავისუფლება და თანასწორობა, როგორ უწყობს ხელს საბჭოთა მთავრობა ქალთა განვითარებას.

სამაზრო ქალთა ყრილობაზე არჩეული იქმნა ორი დელეგატი ქალი ირინე მეძველია და მართა კუხალაშვილი. შემდეგ გამარჯვება უსურვა ერთს უდიდესს მებრძოლს ქალს კლარა ცეტკინას და თავისუფალ ქალს თავისუფალ საქართველოში.

კრების თავმჯდომარე: **კატო მანდარია.**

მდივანი: **ლეონიდა ჩხეიძე.**

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ. [illegible] ტელ. 5—74.

— **1-ლი რაიონის ბიურო**—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— **მე-2-ე რაიონის ბიურო**—მაჩაბლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— **მე-3-ე რაიონის ბიურო**—[illegible] ბარი, კახეთის [illegible]. 5—58.

— **მე-4-ე რაიონის ბიურო**—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—[illegible]

**მე-5-ე რაიონის ბიურო**—[illegible] ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

### სხვა და სხვა.


გრუკავროსტას საინფორმაციო სექციის ქართულ განყოფილებისათვის საჭიროა გამოცდილი მემანქანე. პირობების გაგება შეიძლება აქვე, დილის 8 ს. საღამოს 8 საათამდე.

## სეიფების დათვალიერება

**ქალაქ თბილისის ყველა ბანკების კომისრისაგან.**

კავკასიის ყველა ბანკის კლიენტებს. სეიფები (ფოლადის ყუთები) აქვთ ბანკში და რომელნიც არ მოსულან დღემდე მათ აღსარიცხავათ, იხმევენ მოვიდნენ კავკასიის ბანკის ბინაში სამი დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადებისა, სეიფების გახსნასა და მათში განძეულობის აღრიცხვაზე დასასწრებლათ.

მოსვლა სავალდებულოა, როგორც სეიფების პატრონებისა, ისე მათ რწმუნებულებისათვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ სეიფების გასაღებები, თუნდაც რომ ამ პირებს არ ქონდეთ სპეციალური რწმუნება სეიფების გახსნისათვის.

## სახალხო უნივერსიტეტის ლექციების განრიგების ნუსხა.

29 მაისიდან 5 ივნისამდე 1921 წ.

**ქართული განყოფილება.**

### 1. საზოგადოებრივი მეცნიერების ფაკულტეტი.

**ორშაბათი:** 1) მათემატიკა—ი. გვარაშვილი—7—9 საათი. 2) მუშათა მოძრაობის ისტორია—გ. ნათაძე—9—10 საათ.

**სამშაბათი:** 1) ქართული მწერლობა—ბარნოვი—7—9 ს. 2) ბიოლოგია—9—10 ს.

**ოთხშაბათი** 1) მსოფლიო ისტორია—ნათაძე—7—8 საათ. 2) გეოგრაფია—მესხი—8—10 საათ.

**ხუთშაბათი:** 1) ქართული მწერლობა—ბარნოვი—7—9 საათ. 2) ფიზიკა—ალშიბაია—9—10 საათ.

**პარასკევი:** 1) მსოფლიო ისტორია—გ. ნათაძე—7—9 საათ. 2) მუშათა მოძრაობის ისტორია—გ. ნათაძე—9—10 საათ.

**შაბათი:** 1) საქართველოს ისტორია—ჯავახიშვილი—7—9 საათ. 2) მათემატიკა—ი. გვარაშვილი—9—10 საათ.

### 2. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

**ორშაბათი:** 1) მათემატიკა—გარდახობაძე—7—9 საათი. 2) ფიზიოლოგია—ცეცხლაძე—9—10 საათ.

**სამშაბათი:** 1) გეოლოგია—ხელაძე—7—8 საათ. 2) ფიზიკა—ალშიბაია—8—10 ს.

**ოთხშაბათი:** 1) ქართული მწერლობა—თორაძე—7—9 საათ. 2) გეოლოგია—ხელაძე—9—10 საათ.

**ხუთშაბათი:** 1) ქიმია—მოსეშვილი—7—9 საათ. 2) მათემატიკა—გარდახობაძე—9—10 საათ.

**პარასკევი:** 1) ქართული მწერლობა—თორაძე—7—9 საათ. 2) ბოტანიკა—ყანჩაველი—8—10 საათ.

**შაბათი:** 1) საქართველოს ისტორია—ი. ჯავახიშვილი—7—9 საათ. 2) კულტურის ისტორია—ნათაძე—9—10 საათ.

## ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭო

ყველა სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ, საქონლის აღრიცხვის გამო, გაცემა მომარაგების საბჭოს საწყობებიდან ყოველგვარ საჭირო საგნებისა, დროებით, 3 ივნისამდის, შეწყვეტილია.

მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე ფანიევი.

## მომარაგების საბჭოსაგან

ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭო წინადადებს აძლევს ყველა მაღაზიების პატრონთ, რომელნიც იყვნენ მომარაგების საბჭოს მიერ აღრიცხვაზე აღებულნი, ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ მომარაგების საბჭოში ცნობები იმ მასალაზე, რომელიც მათ მისცეს მომარაგების საბჭოს ორდერების თანახმად, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს. დაწესებულ ვადის გასვლის შემდეგ ეს ცნობები აღარ მიიღება. ცნობები უნდა მოაწოდონ მომარაგების საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს (შაუმიანის ქ. № 2).

მომარაგების საბჭოს თავმჯდომარე კ. ფანიევი.

საქმეთა მმართველი ლ. ბრეგვაძე.

## ქალაქის რევკომის იუსტიციის განყოფილებისაგან

ვისაც სურს მიიღოს ქ. ტფილისში სახალხო მოსამართლის, გამომძიებლის, ან სასამართლოს განაჩენის აღმასრულებელის თანამდებობა და ამასთან აკმაყოფილებს ამ თანამდებობის მისაღებათ კანონიერ მოთხოვნილებას, მას შეუძლიან შემოიტანოს განცხადება ა. წ. 10 ივნისამდე ქალაქის რევკომის იუსტიციის განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქუ. № 32) 12—2 საათამდე

განყოფილების გამგე მარ. ჩხეიძე.




საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.